# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 11 ივლისი, 2004 წელი. №159 (4888) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი


◎ აბჯარი

## მოდიან „ფარნავაზიანელები“

**აქ მოხვედრილი გარეშე თვალიც უცილობლად შეამჩნევდა უზადო სამხედრო წესრიგსა და პეწს.**

**პრეზიდენტს ელოდებოდნენ ქართველი მხედრები.**

უკვე მეათედ ვესწრები დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის ოფიცერთა მომზადების ერთწლიანი კურსების გამოშვების საზეიმო ცერემონიალს და მას, როგორც წესი, მუდამ ახლდა გარკვეული ამაღლებული ელფერი, მაგრამ რაც მეათე, საიუბილეო გამოშვების დღეს სუფევდა აკადემიის საალლუმო მოედანზე, მხოლოდ აღფრთოვანებით თუ აღწერს ადამიანი.

კურსდამთავრებულებმა სამწყობრო ნაბიჯებით ჩაიარეს ტრიბუნის წინ და მამულის წინაშე ერთგულების ფიცი დადეს. ომახიანი იყო მათი ხმა, ომახიანი და იმედიანი, მსგავსი წინაპართა ომახისა და ქართული სულისა.

სახელოვანი ოფიცრის, პოლკოვნიკ გივი გიგაურის ხმამ კურსდამთავრებულებს, მოწვეულ სტუმრებსა და ოფიციალურ პირებს აუწყა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება:

„ეროვნული არმიის მშენებლობისა და მისი ახალი პრინციპების ჩამოყალიბების პროცესში ქართული მხედრული ტრადიციების აღორძინებისა და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების მიზნით, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის 2004 წლის გამოშვებას ეწოდოს ფარნავაზ მეფის სახელი!“

იხ. მე-2 გვ.

◎ პრეზიდენტი

# თქვენ ის თაობა ხართ და ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელიც როგორც ხალხი, როგორც სახელმწიფო აღარასოდეს დაიჩოქებს

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სიტყვა ეროვნული სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე 2004 წლის 10 ივლისს**



დღეს ჩვენთვის და თქვენთვის განსაკუთრებული დღეა. თქვენ მიიღეთ დამოუკიდებელი საქართველოს ოფიცრის წოდებისა და განათლების დამადასტურებელი დიპლომი. სახელმწიფოს აქვს რამდენიმე ატრიბუტი: ეს არის ტერიტორია, ეს არის მისი საზღვრები, ეს არის მისი მთავრობა, ხელისუფლება და, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, მისი ხალხი. მაგრამ ხალხთან ერთად, სახელმწიფოს მთავარი ატრიბუტი არის ის, რაც ყველაფერს ნიშნავს: ტერიტორიას, საზღვრებს და ხალხს. ეს არის სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები. საქართველო ომში დამარცხდა იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სწორედ ეს მთავარი ატრიბუტი. ქართველი ოფიცრობა, ქართული მხედრული სული საუკუნეებს მოითვლის.

იხ. მე-3 გვ.

◎ შევეწიოთ!

## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| შპს „აუდიტლოჯიკი“ | – 100 ლარი; |
| ლევან გუნია | – 60 ლარი; |
| გიორგი იარაჯული | – 100 ლარი; |
| გია შანიძე | – 20 ლარი; |
| ავთანდილ წამალაშვილი | – 191 ლარი; |
| მზია არსენიშვილი | – 500 ლარი; |
| ნათელა გავაძე (ნოტარიუსი) | – 50 ლარი; |
| ჯ. ხომასურიძე | – 10 ლარი; |
| ი. მიქელაძე | – 10 ლარი; |
| ი. ტაბიძე | – 30 ლარი; |
| ე. ბიბილეიშვილი | – 10 ლარი. |

◎ კვირის თვალსაწიერი

## ღირსების ომს ღირსეული ჯარისკაცები იგებენ

ომს რამემ გვაწყინა, ისევ ჩვენმავე თავმა.

ჯერ იყო და, რაც კარგები ვიყავით, მხოლოდ ქართველები ვიყავით.

მერე – ზომა არაფერში ვიცოდით და გადამეტებული ღრიანცელი დიდ პატრიოტობად მიგვაჩნდა.

ახლაც მწვავს სირცხვილი იმის გახსენებაზე, ოთხმოციანი წლების ბოლოს ერთმა ჩვენმა ცნობილმა მეცნიერმა (გარდაცვლილია, ამიტომ გვარს არ დავასახელებ) საქართველოში ქართველთა დემოგრაფიული უპირატესობის უზრუნველსაყოფად აქ მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლებისთვის (აფხაზების გარდა) სამ შვილზე მეტის ყოლის აკრძალვის წინადადება რომ წამოაყენა.

ამ, ზუსტი სახელი რომ ვუწოდოთ, ფაშისტურ გეგმას ცხინვალიდან შეურაცხყოფილი (სრულიად სამართლიანად!) ოსი მეცნიერი და მწერალი ნაფი ჯუსოითი გამოეხმაურა, მერე, აქედან იმას – სხვა და ეს „დემოგრაფიული“ პოლემიკა უმალ გადავიდა პოლიტიკურ კალაპოტში და მცირე როლი როდი შეასრულა ორი ხალხის კონფლიქტის გაღვივებაში.

მახსოვს „მამხილებელი“ პუბლიკაცია ოსთა „ტრადიციულ მოღალატეობაზე“. ვიღაცა დაჯდა და ისტორიიდან და ქართველ მწერალთა ნაწარმოებებიდან საგულდაგულოდ ამოკრიბა „საილუსტრაციო მასალა“. ეს უკვე ომის დროს იყო და მან ცეცხლზე ნავთი დაასხა.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

### ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს

**სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტისა და ძალოვანი მინისტრების ოთხსაათიანი შეხვედრა გუშინ დაახლოებით ღამის 02.00 საათზე დასრულდა. როგორც შეხვედრიდან გამოსულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ძალოვანმა მინისტრებმა საქართველოს პრეზიდენტს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ბოლო პერიოდში შექმნილ ვითარებაზე ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს.**

**„პრეზიდენტს მივაწოდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რაც ბოლო პერიოდში ცხინვალის რეგიონში ხდება. ვმსჯელობდით ასევე იმაზე, თუ როგორ შეიძლება განიმუხტოს სიტუაცია და გამოვიდეთ ამ ვითარებიდან. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ესკალაცია იმ დოზით, რაც 10 წლის წინათ იყო,“ – განაცხადა ოქრუაშვილმა.**

**რაც შეეხება ცხინვალის იზოლატორში დარჩენილ სამ ქართველ მძევალს, შს მინისტრის განცხადებით, მათ გათავისუფლებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.**

### ერედვში საკოორდინაციო ცენტრი შეიქმნება

**საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, კერძოდ, სოფელ ერედვში ფუნქციონირებას დაიწყებს საკოორდინაციო ცენტრი, რომელსაც საქართველოს შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი უხელმძღვანელებს.**

**როგორც გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ირაკლი ოქრუაშვილის შტაბი მუდმივად ამ სოფელში იქნება დისლოცირებული და მინისტრი ადგილიდან გაუწევს კოორდინაციას რეგიონში განთავსებული ქართველი ძალოვანი სტრუქტურების მოქმედებას.**

**„ოქრუაშვილი საცხოვრებლადაც იქ გადავა და ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველოს თავიდან ააცილოს იმ შეიარაღებულ დაპირისპირებაში ჩათრევა, რომლის ინსპირირებასაც ცდილობს მოწინააღმდეგე მხარე“, – აღნიშნა სააკაშვილმა.**

### ქართულ სოფლებს კვლავ ცეცხლი გაუხსნეს

**გუშინ, გამთენიისას, დაახლოებით 06.00 საათის შემდეგ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარება კვლავ უკიდურესად დაიძაბა. ღამის განმავლობაში შენარჩუნებული სიმშვიდის შემდეგ ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა მაღალმთიანი ადგილებიდან ქართულ სოფლებს კვლავ ცეცხლი გაუხსნეს. ისროდნენ სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღიდან. არიან დაჭრილები.**

**„ინტერ-პრესის“ მონაცემებით, დაჭრილია ქართული სამხედრო დანაყოფებისა და პოლიციის 4 წარმომადგენელი, თუმცა დაშავებულთა რაოდენობა, შესაძლოა, მეტიც იყოს. დაჭრილები სოფელ ტყვიავისა და გორის საავადმყოფოებში გადაიყვანეს.**

**ქართული სოფლების მოსახლეობა ძალზე შეშფოთებულია, თუმცა აცხადებს, რომ საკუთარი სახლების მიტოვებას არ აპირებს.**

**ინტერ-პრესი.**

## ინტერპანორამა

**ტონი ბლერი კინაღამ გადადგა, ოთხმა მინისტრმა ძლივს გადაათქმევინა ეს. არადა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ივნისში ხაზს უსვამდა, „აბსოლუტურად ზუსტად მაქვს განზრახული“ არჩევნებში მონაწილეობაო.**



**ირანის გენერალურმა პროკურორმა აბდოლნაბი ნამაზიმ მოუწოდა, სადამი მთელმა მსოფლიომ გაასამართლოსო. „საჭიროა მთელი საერთაშორისო პოტენციალისა და საზოგადოებრივი აზრის ამოქმედება, რათა ჩამოყალიბდეს და წარედგინოს სარჩელი ერაყის ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ“, – განაცხადა მან.**



**ერაყში გატაცებულ ფილიპინელ მძევალს მალე გაათავისუფლებენ. საბარგო ავტომობილის მძღოლი, 46 წლის ანჯელო დე ლა კრუზი ფალუჯის რაიონში გაიტაცეს. ოთხშაბათს ტერორისტები დაიმუქრნენ, თუ მანილა 72 საათის განმავლობაში ერაყიდან თავის სამხედრო კონტინგენტს არ გაიყვანს, მძევალს თავს მოვჭრითო.**



◉ აბჯარი

# მოდიან „ფარნავაზიანელები“

(პირველი გვერდიდან)

და პირველ „ფარნავაზიანელთ“ ოფიცრის დიპლომები თვითონ საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდალმა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გადასცა. ამაშიც განსაკუთრებულად ჩანდა სიმბოლური ნიშანსვეტი მამულის ტრადიციებისადმი ერთგულებისა.



საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 9 ივლისის ბრძანებით, აკადემიის ასამდე კურსდამთავრებულს მიენიჭა ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება – „ლეიტენანტი“. მათ შორის გახლდათ ათამდე ქალიშვილი, რომლებმაც ვაჟკაცების მხარდამხარ ცხოვრების პროფესიულ გზად სამხედრო საქმე აირჩიეს და დიდი თამარის კვალობაზე ხმალი შემოირტყეს წელზე მამულის ძლიერებისა და ერთგულების ჯავარად.

„ვფიცავთ, ყველგან და ყოველთვის, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მტკიცედ დავიცავთ ჩვენი ქვეყნის ღირსებას, მის უსაფრთხოებასა და მთლიანობას!

ვფიცავთ, ვიქნებით შეურიგებელნი მტრისადმი, თვალისჩინივით გავუფრთხილდებით ოფიცრის მაღალ ღირსებას და არავის მივცემთ მისი შებღალვის უფლებას.

ვფიცავთ, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები მუდამ იქნება თითოეული ჩვენგანისათვის უმაღლესი ღირებულება, ჩვენი ხალხისა და მის მიერ არჩეული პრეზიდენტის, სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ნება კი – უზენაესი კანონი!

ვფიცავთ, ამ საზეიმო ფიცს, უფლის მადლითა და შეწევნით, არასოდეს გავტეხთ!“

ერთხმად ჟღერდა ეს სიტყვები და მსმენელს სიამაყით ავსებდა.

ტრიბუნაზე კი მისასალმებელი სიტყვებით ერთმანეთს ცვლიდნენ თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი გივი იუკურიძე, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი თეიმურაზ ჭეიშვილი, ეროვნული სამხედრო აკადემიის რექტორი, პოლკოვნიკი გიორგი თევდორაძე და სხვები.

მკითხველს ყოველგვარი პირფერობის გარეშე მინდა მოვახსენო, – ბატონი პრეზიდენტის მთელი საქართველოს გასაგონად წარმოთქმულმა საპროგრამო სიტყვამ ყოველ ჩვენგანში იმედი და შემართების იმპულსი კიდევ უფრო აალორძინა! და ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც ტვინნაღრძობ სეპარატისტთა მიერ ჩახმახშემართული ტყვიამფრქვევები ჯერ ისევ კაკანებდნენ ძირძველ ქართულ მიწაზე, – ცხინვალის სამანებში!

და მე ვგრძნობდი, რომ პრეზიდენტის სიტყვები ჩრდილავდა იარაღის ჟღარუნს, ახშობდა მტერთა ჩვენთა ბოგინს და მოდიოდა ახალი ქართული სული!

რაღა ბევრი გავაგრძელო, მკითხველი ჩვენი გაზეთის ამავე ნომერში წაიკითხავს და შეიგრძნობს პრეზიდენტის გამოსვლის ტექსტის პათოსს და დარწმუნებული ვარ, თვითონაც გაიზიარებს ჩემ ამ ამაღლებულ განწყობილებას!

ზაურ ფიფია,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური კორესპონდენტი.
ავტორის ფოტო.



◉ კვირის თვალსაწიერი

# ღირსების ომს ღირსეული ჯარისკაცები იგებენ

(პირველი გვერდიდან)

არადა, კაციშვილს არ უთქვამს (არც ჩვენს ისტორიკოსთაგან და არც მწერალთაგან), რას შვებით, ხალხო, რასაა რომ წერთ და ლაპარაკობთო. ოსები თუ შუა საუკუნეებში მთებიდან დაეშვნენ და გორი მოარბიეს, ეს განა იმას ადასტურებდა, რომ ოსი ქართველის საუკუნო მტერი იყო? აი, ის კი „გამორჩა“ იმ პუბლიკაციის ავტორს, რამდენ ომში ღვარეს სისხლი საქართველოსთვის ოსმა მხედრებმა.

თამარის დროს სვანებმა ქუთაისი მოითარეშეს, რამდენჯერ გურიელი დადიანს დაეცა ან პირიქით ან ორივენი – იმერეთს, ქართლი – კახეთს, კახეთი – ქართლს და რა, მოვდგეთ ახლა და ამით დასკვნები გავაკეთოთ, ასე და ასე გვლალატობდნენ ჩვენ (ვინ – „ჩვენ“?) სვანები, მეგრელები, გურულები, ქართლელები და კახელებიო?

განდგომილ ყვარყვარე ათაბაგზე დიდი ბოროტება ქართველთაგან საქართველოსთვის არავის გაუკეთებია, მაგრამ მთელი ამ გრძელი და სისხლიანი საუკუნეების მანძილზე ენაც არავის მოტრიალებია ზოგადად მესხთა და ჯავახთა სასაყვედუროდ, იმიტომ რომ იმ სისხლის წვიმებში ხალხი არაფერ შუაში იყო.

ეს ზოგადად, თორემ ჩვენი გაფაციცებული ისტორიკოსები რომელიმე სიტყვაზე გამომეკიდებიან და გამწიწკნიან.

რუსებს აქვთ ანდაზა, კალმით დაწერილს ნაჯახით ვერ ამოჩეხავო.

იმ წლებში „ძალიან პატრიოტების“ მიერ დაწერილ ბევრ უგუნურებას, „სისხლის ამაჩქროლებელ“ მოწოდებასაც ვერ ამოშლი.

ამიტომ დავიწყე იმით, თუ რამემ გვაწყინა, ისევ ჩვენმავე თავმა-მეთქი.

ამით იმის თქმა მინდა, რომ მაშინ სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა არ გვეყო, რათა ოსებთან კონფლიქტი ომამდე და გაუცხოებამდე არ მიგვეყვანა.

და ახლა, როცა სიტუაცია კვლავაც ომის ზღვარზეა და ერთ დაუფიქრებელ ნაბიჯს შეუძლია გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს, მაიმედებს ქვეყნის ხელმძღვანელობის მაქსიმალური სიდინჯე და თავდაჭერილობა.

არ შეიძლება სახელმწიფო ვიღაც კონტრაბანდისტს და კრიმინალს აჰყვეს. ქართული მხარე რეგიონში შეჭრას და შეიარაღებულ დაპირისპირებაში ჩართვას არ აპირებსო, – ერთმნიშვნელოვნად განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ძალიან სწორედ მოიქცა, რომ ირანში ვიზიტი არ შეწყვიტა (ბუნებრივია, მკითხველი მიხვდა, რომ „ვიღაც კონტრაბანდისტსა და კრიმინალში“ იგი ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ლიდერს ქოქოითს გულისხმობდა).

ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენლის მხრიდან არ გახმიანებულა საომარი ყიჟინა. და, რაც მთავარია, პრესაშიც არ ჩანს მოქალაქეთა აღტკინება, „ჩვენს ისტორიულ მოღალატეებს“ დედა ვუტიროთო. თუმცა, იგივე ხელისუფლებაც და მოსახლეობაც ერთობ გაღიზიანებულია იმით, რასაც ოფიციალური ცხინვალი დღეს იქმს.

იქ, როგორც ვთქვი, დღეს ფაქტობრივად ომის ვითარებაა. ომი მეტი რაღაა: ერედვის თავზე დაბანაკებულმა ქოქოითის ბოევიკებმა სროლა აუტეხეს ქართველ სამშვიდობოებს და 4 ჯარისკაცი დაჭრეს. მანამდე კი ერედვიდან 5 კილომეტრში მდებარე სოფელ ვანათში თავს დაესხნენ დაცვის პოლიციის 51 სამხედრო პირს და სულ ცემა-ტყეპით გაირეკეს თავიანთ ბანაკში.

თავდასხმები, სროლები შაბათსაც იყო, ისევ დაჭრეს ჩვენი სამხედროები...

ქოქოითის ხელისუფლება ხალხს აიარაღებს.

საქართველოს მხარემ კი მოსახლეობისთვის იარაღის დარიგებაზე უარი თქვა. ხალხს იარაღი არ დაურიგდება, ეგ დრო დამთავრდა. თუ ომი იქნება, თავის საქმეს ჯარი გააკეთებსო, – განუცხადა იქაურ ქართველობას შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა.

ეს ნიშნავს, რომ თუ ომი იქნება, იქნება ჯარისკაცთა ომი და არა „სახალხო“ ომი, როცა ერთმანეთს მეზობლები და მოყვრები სჭრიან ყელს.

ხალხი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებას სამოქმედო გეგმა აქვს.

მე არ ვიცი რა გეგმაა ეს, მხოლოდ ის ვიცი, რომ ასეთი გეგმის ქონა აუცილებლად საჭიროა, რათა მაშინდელივით „სახალხო შურისმაძიებელთა“ ბარბაროსული მეთოდებით არ წარიმართოს მოვლენები.

მაგრამ ყველაზე მთავარი გეგმა ის არის, რომ საქმე ომამდე არ მივიდეს და, ალბათ, არც მივა.

ეს არ შეიძლება არ იცოდეს ქოქოითმა და რაკიღა მაინც ასეთ ავანტიურაზე მიდის, უნდა ვივარაუდოთ, რომ რაღაცის, ანუ ვიღაცის იმედი აქვს, ვიღაცის მიერ არის შეგულიანებული.

ეს ვიღაცა ძნელი გასაშიფრ-გამოსათვლელი არ არის (რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ რა პროვოკაციული განცხადებაც მიიღო, უკვე ყველამ ვიცით).

ამ ავანტიურას ბოლო უნდა მოეღოს და ალბათ მოეღება კიდეც.

მე სხვა რამ მიკლავს გულს.

მტრისთვის და მოყვრისთვისაც ცხადია, რომ ქართული არმია ის აღარ არის, რაც იყო არათუ 10-12 წლის წინათ, არამედ 3-4 წლის წინათაც კი. და მით უფრო მწარე და მტკივნეულია, როცა ისეთ რამეს შეიტყობ, როგორიც ვანათთან მოხდა – პირდაპირ ჭუკებივით რომ აიყვანეს 51 ჯარისკაცი.

ეს გაფიქრებინებს, რომ „რაღაც წესრიგში არ არის დანიის სამეფოში“. ოსი ბოევიკები ისე შევიდნენ ვანათში (როგორც ამბობენ, 12 „უაზითა“ და 6 „ბეემპეთი“) და ისე დაატყვევეს 51 (!) კაცი, თითი არავის გაუნძრევია.

ასეთი სამხედრო ქვედანაყოფი საჯარისო ნაწილი კი არა, მთხლეა. და ღმერთმა იცის, კიდევ რამდენი ასეთი მთხლის მფლობელნი ვართ.

ეს ერთი.

მეორე. ქოქოითის ბრძანებით ეს დატყვევებული ქართველი ჯარისკაცები ცხინვალის მოედანზე...დააჩოქეს. 50 კაცი!

არც ერთს წინააღმდეგობა არ გაუწევია ამ სახალხო შეურაცხყოფისათვის.

რა, დახვრეტის შეეშინდათ?

მშვენივრად უნდა სცოდნოდათ, რომ ვერ (არ) დახვრეტდნენ!

მაშ რისი შეეშინდათ, ერთი ზედმეტი ალიყურის?

არც ერთ მათგანს ღირსების ელემენტარული გრძნობა არ აღმოაჩნდა...

ნეტა, რამდენი გვყავს ასეთი უბადრუკი ჯარისკაცი?

როგორც ჩანს, სრულყოფილებამდე ჯერ შორია.

მე მესმის ირაკლი ოქრუაშვილის ნათქვამის სიმწარე, არავის ვაპატიებთ ცხინვალის მოედანზე, ტელეკამერების წინ ჩვენი ჯარისკაცების დაჩოქებასო.

მაგრამ არც იმათ უნდა ეპატიოთ, ვინც ჩვენი ჯარისკაცების აღზრდაზე აგებენ პასუხს.

თუ ხვალ ომი იქნა, იგი ღირსების ომი – დამცირებული, დაწიხლული სამშობლოს ფეხზე წამოსაყენებელი წმინდა ომი უნდა იყოს. ღირსების ომს კი ღირსეული ჯარისკაცები იგებენ...

ალეკო ასლანიშვილი.

◉ ინფორმაცია

განათლება

## 60 წარჩინებული მოსწავლე საზეიმოდ დააჯილდოვეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ გუშინ ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში ცხინვალის რეგიონში მცხოვრები 60 წარჩინებული მოსწავლე საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა. ლომაიამ მათ სამინისტროს გრანტის ფარგლებში 100-100 ლარი და სპეციალური დიპლომები გადასცა.



„ჩვენ გვსურს დავანახოთ ყველას, რომ საქართველოს მოსახლეობის და ხელისუფლების სურვილი ოსებსა და ქართველებს შორის მეგობრული ურთიერთობების აღდგენა და შექმნილი ვითარების მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოწესრიგებაა“, – აღნიშნა მინისტრმა.

მისივე თქმით, მოსწავლეთა წახალისება სხვა რეგიონებშიც განხორციელდება. ცხინვალის რეგიონში კი მსგავსი სახის ჯილდოს კიდევ 40 წარჩინებული მოსწავლე მიიღებს.

ინტერ-პრესი.

# თქვენ ის თაობა ხართ და ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელიც როგორც ხალხი, როგორც სახელმწიფო აღარასოდეს დაიჩოქებს

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სიტყვა ეროვნული სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე 2004 წლის 10 ივლისს**

(პირველი გვერდიდან)

მე ახლახან დავბრუნდი ფერეიდანიდან, სადაც შაჰ-აბასმა ჩაასახლა 160 ათასი ქართველი, ჩაასახლა იმიტომ, რომ მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი: ქართველები ყველაზე კარგი მეომრები იყვნენ. და მათ უნდა დაეცვათ მაშინდელი სახელმწიფო — სპარსეთი ყველანაირი გარე შემოტევებისაგან. ეს ჩვენი ერის ტრაგედია იყო, მაგრამ ეს ასევე იმით იყო გამოწვეული, რომ ყველამ იცოდა: ქართველების დამარცხება ბრძოლებში შეუძლებელია. იმ ქვეყანაში იყო ძალიან ბევრი, ძალიან გამოცდილი მხედართმთავარი, მათ შორის — ყველაზე ძლიერი სპარსული ლაშქრის ხელმძღვანელი ალავერდი-ხანი უნდილაძე, რომლის სახელი დღემდე იცის თითოეულმა სპარსულმა ოჯახმა.

ასეთი იყო ტრაგედია. ქართველებს უხდებოდათ სხვა ქვეყნებში თავიანთი საბრძოლო ხელოვნების გამოვლენა.

მამლუქების ჯარის ძირითადი ბირთვი, და ეს ჯარი თავზარს სცემდა მთელ ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას, ისევ და ისევ ქართველები იყვნენ. რუსეთის ომი საფრანგეთთან 1812 წელს რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა და გადამწყვეტი ამ გამარჯვებაში გენერალ ბაგრატიონის წვლილი იყო. და, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ასევე ქართველი იყო. ყველა ეს ქართველი ტრაგიკული ფიგურა იყო. ისინი იდგნენ სხვა ქვეყნის სადარაჯოზე იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფო, არ შეეძლოთ საკუთარი ხალხის დაცვა.

დღეს ჩვენს თაობას მიეცა უნიკალური შანსი, რომ დაიცვას საკუთარი ხალხი, საკუთარი სამშობლო და საკუთარი სახლ-კარი. ეს არის უნიკალური შანსი, რომლის ხელიდან გაშვებას ჩვენ ისტორია არ გვაპატიებს.

რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი პრობლემა არის. 1956 წელს, როცა კომუნისტური პარტიის ბრძანებით ყველა უამრავი ქართველი ოფიცერი დაითხოვეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებიდან. დაითხოვეს იმიტომ, რომ არ უნდოდათ საქართველოს ჰყოლოდა ოფიცერთა კორპუსი, იმიტომ, რომ გრძნობდნენ, საქართველო მათთვის არ იყო მაინცდამაინც საიმედო ქვეყან. 1918 წელს, საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და რუსეთის არმიიდან ათასობით ქართველი ოფიცერი სამშობლოში დაბრუნდა, მათ შორის გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელმაც საქართველოს აფხაზეთი დაუბრუნა, რომლის მეთაურობითაც ჩვენ შევინარჩუნეთ აჭარა, რომლის მეთაურობითაც საქართველო უდიდესი შემოტევების პირობებში ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. აი, ასეთი გენერალი მამნიაშვილი აღარ უნდა ყოფილიყო საბჭოთა ჯარში და ეს მაშინდელმა რეჟიმმა გააკეთა.

ამიტომ არის ტრადიციის წყვეტა, მაგრამ ასევე არის ბევრად უკეთესი საერთაშორისო გარემო და ბევრად უკეთესი საერთაშორისო პირობები.

ჩვენ დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ ჩვენს მეგობრებს — თურქეთის სახელმწიფოს და მის ოფიცრებს, რომლებიც გვეხმარებიან თქვენს მომზადებაში. თურქეთმა თავი გამოიჩინა როგორც ნამდვილმა მეგობარმა. როდესაც ჩვენი ადგილობრივი სეპარატისტი, თანამედროვე ფაშა ასლან აბაშიძე ამბობდა, თუ საქართველო აჭარაში რაიმეს ჩაიდენს, ჩვენ თურქეთის არმია დაგვეხმარებაო, თურქეთის პრემიერმა ჩემთან საუბარში განაცხადა: ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელიც ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ თქვენ გყავდეთ შეიარაღებული ძალები. ამიტომ, მეგობრობის და მხარდაჭერის გარდა თურქეთიდან თქვენ ვერაფერს ვერ მიიღებთო.

როდესაც დახმარებაზე ვსაუბრობთ, ასევე მინდა გავიხსენო ის დახმარება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მუდმივად უწევს საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით.

ჩვენ ვდგავართ ნატოში ინტეგრაციის გზაზე. ეს არის ჩვენი უპირატესობა და ეს ჩვენთვის ძალიან დიდი საფრთხეცაა. ვინაიდან ჩრდილოეთში ძალიან ბევრ ადამიანს ძალიან არ სიამოვნებს ის რომ, რაც განადგურებული, დაცლილი, თავმოჭრილი იყო 1992-93 წლებში და რაც ეგონათ, რომ ველარასოდეს დადგებოდა ფეხზე, აღმოჩნდა, რომ ბოლო რვა თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა შეიცვალა, დგება ფეხზე და ძლიერდება. ბოლო წვეთი, რომელმაც მათ მოთმინების ფიალა აუვსო, ჩვენი აღლუმი იყო, რომელიც მათ 26 მაისს თბილისში ნახეს.

ამ აღლუმის შემდეგ რამდენიმე დღეში საქართველოს წინააღმდეგ დაიწყო შეიარაღებული პროვოკაციები.

მინდა ერთი რამ ვთქვა: ჩვენ არ გვსურს და არავითარ შემთხვევაში არც შეიძლება გვსურდეს გართულება რომელიმე ჩვენს მეზობელთან. ჩვენ გვინდა, რომ რუსეთთან გვქონდეს ძალიან მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა. ჩვენ გვინდა, რომ ვივაჭროთ, გვინდა, რომ საქართველოში შემოვიდეს რუსული ფული და ქართველებმა რუსეთში ბიზნესი გააკეთონ. ჩვენ გვსურს, რომ სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე იყოს ძალიან კარგი ურთიერთობა. და მინდა ვთქვა, რომ მუდმივად ვმუშაობ რუსეთის პრეზიდენტთან ერთად, რომ შევძლოთ საქართველოში კონფლიქტის თავიდან აცილება.

მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ: თუ საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღდა რაიმე კონფლიქტი, თუ მოახერხეს, და მე არ მინდა, რომ რუსეთი ვინმემ ჩაითრიოს საქართველოსთან შეიარაღებულ კონფრონტაციაში, ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. სულერთია, ამისთვის ვის გამოიყენებენ.

ოსები ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლი და ხორცი არიან. მე არ განვასხვავებ ერთმანეთისაგან ოსებსა და ქართველებს. მე მინდა ვუთხრა ოსებს: ჩვენ არ გვინდა რაიმე შეიარაღებული მოქმედების განახლება ქალაქ ცხინვალში, რომელიც ძალიან პატარაა და რომელიც ძალიან მალე ყველა შემთხვევაში გახდება საქართველოს სრულუფლებიანი შემადგენელი ნაწილი. ამას წინ ვერაფერი ვერ დაუდგება, ეს არის ისტორიის ლოგიკა. რა თქმა უნდა, ეს საკითხი ჩვენ უსისხლოდ და უპრობლემოდ უნდა გადავწყვიტოთ.

ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რათა თითოეულ ოსს, აფხაზს, რუსს, სომეხს, აზერბაიჯანელს, ქართველს, ყველას, ვინც ცხოვრობს საქართველოში, შეექმნას პირობები იმისათვის, რომ საქართველოს აღმშენებლობაში სრულუფლებიანი მონაწილეობა მიიღოს. მე ძალიან მიხარია, რომ დღევანდელ გამოშვებაშიც არიან სხვადასხვა გვარისა და წარმომავლობის ადამიანები. ისინი არ არიან ეროვნული უმცირესობა, ისინი არიან უმრავლესობა საქართველოში, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ მრავალეროვანი ქვეყანა, სადაც თითოეული ადამიანი თანასწორია. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ისინი გახდნენ ქართველი ერის, წარმატებული ერის შემადგენელი ნაწილი.

მაგრამ მინდა ვთქვა, რომ თუ ვიღაც ნაძირლები, კრიმინალები, რომლებიც იმოქმედებენ, როგორც კაზაკები, თავის დროზე აფხაზეთში თავი რომ მოიჭრეს, თუ რომელიღაც სახალხო ლაშქარი, რომელსაც დღეს ზოგიერთები ვლადიკავკამსა და ცხინვალში აგროვებენ, სხვადასხვა მომხვდური შემოვა. ისინი აღკვეთილი იქნებიან. ჩვენ დავაკავეთ შეიარაღებული ადამიანები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კრასნოიარსკიდან ჩამოვიდნენ სისხლის დასაღვრელად. თუ მათ უნდათ საქართველოში სისხლის დასაღვრელად ჩამოსვლა, ჩამოვიდნენ, ოღონდ, საკუთარი სისხლის დასაღვრელად. დაუნდობლად გავანადგურებთ ყველას, ვინც საქართველოში მახვილით შემოვა.

ჩვენ უნდა გვესმოდეს: რა ძლიერიც უნდა იყოს მტერი, რა შეიარაღებული ძალებიც უნდა ჰყავდეს მას, იგი უცხო ქვეყნიდან მოსული მტერია და ვიცავთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს, საიდანაც წასასვლელი ჩვენ არსად არა გვაქვს, იმიტომ, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში შევინარჩუნეთ ჩვენი საქართველო.

ამიტომ, ჩვენი მტერი ვიღაც ადგილობრივი 100 და 150 გზააბნეული ახალგაზრდა კი არ არის, რომელსაც უმუშევრობისა და უბედურების გამო იარაღი დააჭერინეს ხელში, არამედ ჩვენი მტერი არის ის გარე ძალა, რომელიც შესაძლოა შემოვიდეს საქართველოში, რათა შეაჩეროს ნატოში საქართველოს ინტეგრაცია, რათა შეაჩეროს საქართველოდან უცხო ჯარების გაყვანა, რათა შეაჩეროს საქართველოს ეკონომიკური პროგრესი, რათა შეაჩეროს ის, რომ თითოეულმა ქართველმა უკეთესად იცხოვროს, რათა შეაჩეროს ის, რომ ქართველების მომავალმა თაობებმა თქვან: ჩვენ ვიყავით ამ იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ გავხდით დამოუკიდებელი და ისევე, როგორც ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, ისევე, როგორც პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩვენც გავხდით ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, ჩვენ აღარა ვართ ვასალები, ჩვენ აღარ ვეკითხებით რომელიმე უცხო ქვეყნის სამმართველოს უფროსის მოადგილეს როგორ ვიცხოვროთ, როგორ მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება. აი, ამისთვის უნდათ საქართველოს დასჯა. და მე მინდა ვთქვა: თითოეული ქართული ოჯახი უნდა გახდეს თავდაცვის შტაბი, თითოეული ქართული ოჯახი უნდა ჩაებას არმიის გაძლიერებაში.

უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოში მთელი ფული დღეს უნდა მოხმარდეს ჯარს და არა მხოლოდ იმას, რომ დავეხმაროთ ხალხს. მე ვიცი, რომ დღეს ხალხს ძალიან უჭირს, მაგრამ თუ საქართველო განადგურდა, ჩვენი პროგრესისაგან საერთოდ აღარაფერი დარჩება. ყოველი ზედმეტი კაპიკი, რომელიც საქართველოში შემოვა, თავდაცვას, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, საქართველოს საზღვრების განმტკიცებას უნდა მოხმარდეს, ყველაფერი უნდა მოხმარდეს საქართველოში სტრატეგიული მარაგების შექმნას, იმიტომ, რომ ჩვენ მოწინააღმდეგეს ათასჯერ მეტი რესურსი აქვს. მაგრამ ჩვენ დამატებით გვაქვს მთავარი რესურსი: ჩვენი სამშობლოს სიყვარული და მეგობრობა.

მე მინდა ვუთხრა რუს ხალხს: მე იანვარში გამოგიწოდეთ მეგობრობის ხელი, იგი ჯერჯერობით ჰაერშია გაწვდილი და, სამწუხაროდ, ბოლომდე მის ჩამორთმევაზე არავის არ უფიქრია. თუმცა მე რუსეთის პრეზიდენტთან ძალიან კარგი ურთიერთგაგება ავაწყვე, თუმცა ჩვენ მოვახერხეთ სხვადასხვა სტრუქტურის დონეზე ურთიერთობის განვითარება, თუმცა სხვადასხვა საქმიანმა სტრუქტურამ იპოვეს ერთმანეთთან საერთო ენა, მაგრამ თუ იმპერიულმა ინსტინქტებმა, თუ რაღაც ძალებმა გაიმარჯვეს და გადაწყვიტეს საქართველოში 1992 წლის განმეორება, თქვენ დაგხვდებათ არა 1992 წლის საქართველო (მაშინ ქვეყანა დაშლილი იყო, მაშინ ქართველები ერთმანეთს ვეომებოდით), თქვენ დაგხვდებათ ერთ მუშტად შეკრული, ერთ ძალად გაერთიანებული საქართველო, ხალხი, რომელსაც გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ჩვენ არ გავაგრძელებთ წინა წლების პოზიციაში ყოფნას და ლაპარაკს იმაზე, რომ არაფერი არ ხდება. ჩვენ ვერ მოვიხვევთ თავზე იმას, რომ ჩვენი მტრები აფხაზები, ოსები ან სხვები არიან. ძალიან კარგად გვეცოდინება, ვინ არის ჩვენი მოწინააღმდეგე, ვინ არის ჩვენი მტერი, ვის წინააღმდეგ არის საჭირო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლა. ამჯერად, ამ ბრძოლაში ჩვენ ყველა დაგვიდგება გვერდით, ვისაც უნდა თავისუფლებისმოყვარე ერების მხარდაჭერა, ესე იგი, მთელი თავისუფალი, დემოკრატიული სამყარო. და ამის რესურსები ჩვენ გვაქვს.

იმედი მაქვს პრეზიდენტ პუტინის კეთილგონიერებისა, რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის კეთილგონიერებისა. მაგრამ ასევე საქართველომ უნდა იცოდეს: ჩვენ ყოველდღე, ყოველწუთიერად ვმუშაობთ, რათა არ ჩაგვითრიონ რაიმე სახის შეიარაღებულ კონფლიქტში.

მაგრამ მთელი ღამის განმავლობაში იყო შემოტევები სოფლებზე ერედვზე, თამარაშენზე, ვანათზე. ჩვენმა სახელოვანმა ადგილობრივმა წარმომადგენლებმა მოიგერიეს ეს შეტევა, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მომხვდურთა შორის, იმის მიუხედავად, რომ ისინი გვებრძვიან, მსხვერპლი არ ყოფილიყო, რადგან ისინიც ჩვენი ხალხია, თუმცა მათ შორის არიან ასევე რუსეთიდან შემოსული ელემენტები. თუ ასეთი ელემენტი იქნა აღმოჩენილი, რა თქმა უნდა, ჩვენ მათ სხვანაირად მივხედავთ. მინდა ყველა გავაფრთხილო: თუ აღმოჩნდებიან სხვა ადამიანები, ჩვენ მათ განსაკუთრებული სიმკაცრით და სისასტიკით მივხედავთ.

მაგრამ, ამავე დროს, საქართველო, ამ ისტორიულ მომენტში და ნებისმიერ შემდგომ მომენტში, როგორც იყო საუკუნეების განმავლობაში, უნდა იყოს მზად, აგრესიის შემთხვევაში ერთ მუშტად შეიკრას და ყველანაირი აგრესორი საბოლოოდ გააქციოს საქართველოდან, საბოლოოდ მოიშოროს ბოლო დაბრკოლება, რომელიც ჩვენ ბედნიერ მომავალს წინ დაუდგება. ასეთია საქართველოს ბედი: ყოველ ჯერზე აიწყვიტავს ამირანივით, შემდეგ მოდიან მტრები და ისევ ლურსმანს გვარჭობენ და ისევ უნდათ ადგილზე მიგვამაგრონ. ველარ მიგვამაგრებენ.

საქართველო იქნება თავისუფალი, საქართველო იქნება ძლიერი, საქართველო იმეგობრებს ყველა თავის მეზობელთან, ვისაც მეგობრობა სურს და საქართველო გასცემს პასუხს ყველა აგრესიას. იარაღით მოსულთ იარაღით დავხვდებით. იმ ხალხს, რომელსაც უნდა, რომ საქართველო გადააქციოს საჯირითოდ, თავისი ავადმყოფური ამბიციების და იმპერიული თავმოყვარეობის დაკმაყოფილების არენად, ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ყველაზე პატარა თავისუფალი ერებიც კი, როცა ისინი ერთ მუშტად იკვრებიან, ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას როგორც თავის დროზე ფინეთმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, როგორც ბოლო წლების განმავლობაში ვერაფერი ვერ მოუხერხეს ბალტიის ქვეყნებს, როგორც იბრძოდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნგრელები 1956 წელს და ათწლეულების შემდეგ მაინც მოიპოვეს თავისუფლება, როგორც იბრძოდნენ ჩეხები და სლოვაკები 1968 წელს და ბოლოს, რამდენიმე წლის შემდეგ მაინც მოიპოვეს თავისუფლება, როგორც იბრძოდნენ ავღანელები მომხვდური ჯარის წინააღმდეგ და მოიპოვეს თავისუფლება, ასევე დავუდგებით მათ. ვისზე ნაკლებია საქართველო, რომ აგრესიის შემთხვევაში ვერ გავწიოთ წინააღმდეგობა?!

თქვენ ხართ დიდი ქართველი მხედართმთავრების შთამომავლები, თქვენ ხართ იმ გენის შთამომავლები, რომლებიც 400 წელი საერთოდ სხვა გარემოში ცხოვრობენ. აგერ, ფერეიდანში ერთი სიტყვა ქართული არ დავიწყნიათ, ქართული სული არ ჩამკვდარა. თქვენ ხართ იმ ხალხის შთამომავლები, რომელთაც შეინარჩუნეს ქვეყანა, რომელიც ყველა უცხო სახელმწიფოსთვის ყველაზე სანატრელი განძი და პრიზი იყო, თქვენ ხართ იმ სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომელსაც საფლავები მიტოვებული აქვთ აფხაზეთში და რომელიც დღეს დამარცხებული და პირში ჩალაგამოვლებულია.

ამიტომ იცოდეთ, წინ დიდი ბრძოლები გვიძევს. ეს ქართულმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს. ამიტომ ყველანი უნდა ვიყოთ მზად. ჩვენ ვილწვით მშვიდობისათვის, ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ საქართველოში არც ერთი წვეთი სისხლი აღარ დაიღვაროს.

მაგრამ, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ქართული სახელმწიფოებრიობა, თუ დაიწყო ფართომასშტაბიანი უცხო აგრესია, ყველა ქართული ოჯახი მზად უნდა იყოს. დღეს აღარ არის წუწუნის, ურთიერთბრალდებების დრო. ჩვენ ვართ დემოკრატიული ქვეყანა და ყველას შეგვიძლია კამათი სხვადასხვა თემაზე. მაგრამ იცოდეთ: აი, ეს ბიჭები და გოგონები არიან თითოეული თქვენგანის დამცველი, იცოდეთ, რომ ისინი არიან ჩვენი მთავარი იმედი, როცა საქართველოს გაუჭირდება. პოლიტიკა არის იმისათვის, რომ საქართველოს არასოდეს გაუჭირდეს, მაგრამ თქვენ ხართ იმისათვის, როდესაც გაუჭირდება, გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა არსებულ განსაცდელს.

მინდა გისურვოთ წარმატება! წმინდა გიორგი იყოს თქვენი მფარველი და ღმერთი იყოს ჩვენი სამშობლოს, ჩვენი საყვარელი საქართველოს მფარველი! ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ. ჩვენი დამარცხებების დრო წავიდა. დაჩოქილი ქართველები დღეს აბსოლუტურ უმცირესობაში არიან. დარწმუნებული ვარ, რომ არასოდეს არც ერთი თქვენგანი მტრის წინაშე არასოდეს არ დაიჩოქებს იმიტომ, რომ, როდესაც მტერი შეგვხედავს დაჩოქილს, იგი ყოველთვის ასმაგი ძალით შეგვებრძოლება და ხვალ და ზეგ უარესს გვიზამს. თქვენ ის თაობა ხართ და ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელიც როგორც ხალხი, როგორც სახელმწიფო აღარასოდეს დაიჩოქებს.

ჩვენს გამარჯვებებს წინ ველარაფერი დაუდგება.

ზაფხულის პაპანაქებაში

# კრემიანი ნამცხვარი საშიშია!



**რამდენიმე დღის წინათ თბილისის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსმა დავით მესხიშვილმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე მასმედიის წარმომადგენელთა ყურადღება მიაპყრო დედაქალაქში კრემიანი ნამცხვრებითა და ზოგიერთი სხვა მალფუჭებადი კვების პროდუქტებით ვაჭრობის მოწესრიგების აუცილებლობას. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ კრემიანი ნამცხვრების მცხობელებმა და რეალიზატორებმა სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის რამდენიმე მოთხოვნა აუცილებლად უნდა შეასრულონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ გარკვეული დამსჯელი ზომები იქნება მიღებული. პრობლემის აქტუალობის გამო „საქართველოს რესპუბლიკა“ უბრუნდება ამ თემას, თუმცა, ამჯერად საკითხს ოდნავ სხვა ჭრილში განვიხილავთ.**

***– თუკი კრემიანი ნამცხვარი დამზადებიდან ექვსი საათის განმავლობაში არ გაიყიდა, იგი აუცილებლად უნდა განადგურდეს. ვინ და როგორ უნდა განახორციელოს ეს პროცედურა? იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ შემთხვევაში შესაძლოა მივიღოთ კორუფციულ გარიგებათა ახალი კერა, საერთო სურათი კიდევ უფრო ბუნდოვანი და დამძიმებული გამოჩნდება.***

– სწორედ ამიტომაა, რომ თბილისის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციაში ამჟამად დღის წესრიგში დგას კადრების როტაციის საკითხი – ვგულისხმობ თანამშრომელთა ერთი რაიონიდან მეორეში გადაყვანას, მათ შენაცვლებას, ვინაიდან, როცა კონკრეტული ადამიანები მიჩვეულნი არიან წლების მანძილზე ერთსა და იმავე ობიექტზე მუშაობას. ამ დროს კორუფციულ გარიგებათა ალბათობაც უფრო მეტად იზრდება.

ამას პირდაპირი კავშირი აქვს კრემიანი ნამცხვრებით ვაჭრობის კონკრეტულ საკითხთან. ცხადია, არსებობს იმის საშიშროება, რომ უკვე ვადაგასული პროდუქცია არ განადგურდეს. ამიტომ ეს უნდა გააკონტროლოს სპეციალისტების კომპეტენტურმა, სანდო ჯგუფმა. ამდენად, ვიდრე სამსახურის სტრუქტურებში რეორგანიზაციას ჩავატარებდით, ჩვენ ეს პრობლემა საგანგებოდ წამოვწიეთ წინა პლანზე, რათა, გარკვეული დროის შემდეგ, არც ნამცხვრების მცხობელთათვის და არც რეალიზატორებისთვის მისი გადაწყვეტის აუცილებლობა მოულოდნელი არ ყოფილიყო.

ახლა ისიც ვთქვათ, თუ რა არის საჭირო ამ პრობლემის გადასაჭრელად. თავდაპირველად ყურადღება მინდა მივაქციო იმას, რომ დედაქალაქში ბევრია ისეთი რეალიზატორი, რომლებიც იბარებენ ოჯახებში კუსტარულად დამზადებულ კრემიან ნამცხვრებს, რომელთა დამზადების პირობების დადგენა, სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია – საკუთარ სამზარეულოში არავინ შეგიშვებს. საკითხის გადაწყვეტის გზა ასე წარმოგვიდგენია: ჩვენი აზრით, ნამცხვრების რეალიზატორებმა არ უნდა ჩაიბარონ კუსტარული წესით დამზადებული ნამცხვრები, რომელთა გამოცხობის პროცესისა და შემადგენლობის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა შეუძლებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრემიანი ნამცხვრების რეალიზატორებმა პროდუქცია უნდა ჩაიბარონ ინდივიდუალური მეწარმეებისგან, ანუ ოფიციალურად რეგისტრირებული მწარმოებლისაგან, რომელიც ნამცხვარს თან დაურთავს მისი დამზადების დამადასტურებელ საბუთს, სადაც მითითებული იქნება თარიღი და დრო, აგრეთვე, გაშიფრული იქნება შემადგენლობა. ამ მექანიზმის ამოქმედება, ბუნებრივია. მეწარმეებზე კონტროლს გააადვილებს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ საკითხის გადაჭრა სავსებით რეალური გახდება სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის რეორგანიზაციის შემდეგ, როცა მნიშვნელოვნად გაიზრდება კადრების სანდოობა და იმის ეჭვი არ იქნება, რომ რომელიმე შემთხვევაში შესაძლოა შედგეს კორუფციული გარიგება.

***– ბატონო დავით, თქვენ ბრძანებთ, რომ ყოველივე ამის განხორციელება ახლო მომავალში გახდება შესაძლებელი. ეს „ახლო მომავალი“ როდის დადგება?***

– სამსახურის რეორგანიზაციის პროცესი 17 ივლისიდან დაიწყება, მანამდე კი ყველა რეალიზატორი გავაფრთხილეთ, რომ კრემიანი ნამცხვრები აღარ მიიღონ ინდივიდუალური მეწარმისგან პროდუქციის წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე.

– ამასთან დაკავშირებით მინდა გაგაცნოთ ერთი კონკრეტული მაგალითი. ვინმე ბექა ბოჭორიშვილი იყო ინდმეწარმე, რომელიც კრემიან ნამცხვრებს ამზადებდა. მისი საცხობი საამქრო ერთ-ერთი მრავალსართულიანი სახლის ნახევრადსარდაფშია განთავსებული, – თქვა სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მაია გურგენიძემ – სამწუხაროდ, მოხდა შემთხვევა, რომლის მსგავსი დედაქალაქში ბოლო 20 წლის მანძილზე არ ყოფილა: მოიწამლა სამი კაცი, რომლებმაც მეგობრის დაბადების დღე ერთად აღნიშნეს. როცა მოწამვლის ნიშნები შეამჩნიეს, მათ ინფექციურ დაავადებათა საავადმყოფოს მიაკითხეს. სამედიცინო გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ ეს იყო კვებითი ინტოქსიკაცია, რომელიც კრემიანმა ნამცხვარმა გამოიწვია. იმის გამო, რომ მოწამლულებს არ უსაუზმიათ და სუფრასთან მხოლოდ „ტორტი“ და შამპანური მიირთვეს, ნამცხვრით მოწამვლა ეჭვს არ იწვევდა. შამპანურით მოწამვლის შემთხვევაში, ავადმყოფებს სხვა კლინიკური მაჩვენებლები ექნებოდათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კვებით მოწამვლის დროს ალკოჰოლიანი სასმელი ერთგვარად ანტიტოქსინის როლს ასრულებს. ამავე დროს, ნაკლებად მოიწამლნენ მამაკაცები, რომლებმაც შამპანური უფრო დიდი დოზით მიიღეს.

სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ ბ. ბოჭორიშვილის საცხობში, სადაც აღნიშნული კრემიანი ნამცხვარი იყო დამზადებული, წამოიღეს იმ კრემის ნიმუში, რომლითაც წინა დღეს ნამცხვარი გაფორმდა და მთლიანად არ გაიყიდა და რომლის ლაბორატორიული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის ე.წ. „ოქროსფერი სტაფილოკოკითაა“ მოწამლული.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სავსებით გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ნამცხვრის მცხობელის ვინაობის დანამდვილებით ცოდნას.

**ის. მე-12 გვ.**

სიახლე

# პირველად — 25 წლის შემდეგ

## ზესტაფონში იოდირებული ჩაი „ტონუსი" მზადდება

**ქართულ ჩაის 25 წელიწადია არც ერთ საერთაშორისო კონკურსზე ჯილდო არ მიუღია, ვიდრე...**

**... ვიდრე „ქართული ჩაის კომპანიამ“ არ გარისკა და მის მიერ გამოშვებული ჩაი „ტონუსი“ მოსკოვში არ გაგზავნა საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც დეგუსტაცია დახურული წესით მიმდინარეობდა.**

პირველი ადგილი და ოქროს მედალი, – აი, ის ბრწყინვალე შედეგი, რომლითაც ადრე ვის გააკვირვებდი, დღეს კი თამამად შეგიძლია იამაყო, მით უფრო, თუ დღევანდელ კონკურენციას და ბაზრის გაზრდილ მოთხოვნებს გავითვალისწინებთ.

ჩაი „ტონუსი“, რომელიც უკვე იმკვიდრებს თავის საპატიო ადგილს ქართულ ბაზარზე და უახლოეს მომავალში უკრაინელთა ტონუსზეც იზრუნებს, მხოლოდ თავისი გემოვნებით არ არის გამორჩეული. ეს სიახლეა და არა მარტო ქართულ ბაზარზე! „ნოუ-ჰაუ“ თავად კომპანიას და მის თავკაცებს ეკუთვნის. კომპანიის პრეზიდენტის დავით ლოლაძის განცხადებით, მისი არსი ასეთია: – ჩაი „ტონუსი“ იოდირებული და ამდენად, სასიამოვნოსთან ერთად, სასარგებლო და აუცილებელია იოდოდეფიციტით გამოწვეული დაავადებებისგან თავის დასაცავად. ეს დაავადებებია ენდემური ჩიყვი, ნევროლოგიური კრეტინიზმი, გონებრივი ჩამორჩენილობა, ზრდის შეფერხება, სიელმე, მეტყველების და სმენადობის დაქვეითება, თანდაყოლილი ჰიპოთირეოზი, ანემია, რეპროდუქციული ფუნქციის მოშლა, უშვილობა, მკვდრადშობადობა, ნაადრევი მშობიარობა და სხვ. იოდოდეფიციტი ინტელექტუალური დეგრადაციის მიზეზიც ყოფილა, – სწორედ ამგვარი ტენდენცია შეინიშნება მძიმე ენდემურ კერებში, რაც საბოლოო ჯამში, ამცირებს ქვეყნის ინტელექტუალურ პოტენციალს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დედამიწის მთელი ტერიტორიის 12 პროცენტი იოდის დეფიციტური ზონაა, ზემოთ ჩამოთვლილი ავადმყოფობების საშიშროება კი ემუქრება მთელი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს (1,5 მილიარდი ადამიანი).

ორგანიზმისთვის ასე აუცილებელ მიკროელემენტს, რომელიც ჩერნობილის კატასტროფის თუ მზის აქტივობით გაძლიერებული რადიაციული დაბინძურების გამო, სასიცოცხლო ფუნქციას იძენს, სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა ფორმით აწვდის თავის მოსახლეობას. უმთავრეს შემთხვევაში ესაა ადვილად ხელმისაწვდომი პროდუქტი, მაგალითად, მარილი, პური, ზეთი, წყალი და ა. შ. გათვალისწინებულია, აგრეთვე, ქვეყნების ეთნიკური, კულტურული თუ გეოგრაფიული თავისებურებები.

საწარმოს დირექტორის ზვიად გრძელიძის თქმით, სწორედ ამიტომ შეჩერდნენ ჩაიზე, რომელიც უკვე კარგა ხანია ეროვნულ პროდუქტად ითვლება ჩვენში.

მთავარი ტექნოლოგის გიორგი ბენდელავას განმარტებით, ჩაის, მარილთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს, რადგან მარილი, მისი ქიმიური ბუნებიდან გამომდინარე, ხელს უწყობს მასში შეტანილი იოდის შენაერთის (კალიუმის იოდიდი) უმოკლეს ხანში – 6-9 თვე, მარილის მჟავე არეში გარდაქმნას თავისუფალი იოდის გამოყოფით და მისი აქროლებით. შედეგად, იგი გამოუსადეგარი ხდება იოდოდეფიციტის პროფილაქტიკისთვის, რასაც ვერ ვიტყვით ჩაიზე. პირიქით, ჩაის სხვა იოდირებული პროდუქტებისგან განსხვავებით, დიდი უპირატესობა აქვს: მასში შეტანილი იოდი არ კარგავს თავის თვისებებს პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გასვლამდე, იოდირების ტექნოლოგია კი, არ ცვლის ჩაის ორგანოლეპტიკურ მაჩვენებელს ანუ გემოს, ნაყენის ფერს, არომატს, გარეგნულ სახეს და სხვ.




„ტონუსმა“ ექსპერტიზა გაიარა უკრაინასა და ყაზახეთში, იქაურმა ჯანდაცვის სამინისტროებმა მას მწვანე შუქი აუნთეს. ზვიად გრძელიძის თქმით, უკრაინაში ჩაი „ტონუსს“ რეკლამა ჩვენმა სახელოვანმა ფეხბურთელმა კახი კალაძემ გაუკეთა, სრულიად უსასყიდლოდ. რაც შეეხება მოსკოვს, კონკურსზე გამარჯვების შემდეგ, ამ პროდუქტს აქაც ელოდნენ, თუმცა, ამ ბაზარზე დამკვიდრებას ხელი იმ ფაქტმა შეუშალა, რომ საწარმოს ჯერჯერობით რუსეთის დედაქალაქში წარმომადგენლობა არა ჰყავს.

**ქეთი ჯაყელი.**

რეგისტრაცია

# პენსიონერებს შინაც მიაკითხავენ

**პენსიონერთა ზუსტი აღრიცხვის მიზნით, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა 1 ივლისიდან დაიწყო მათი ხელახალი საკონტროლო რეგისტრაცია, რაც ქვეყნის მასშტაბით სავალდებულოა ყველა პენსიონერისათვის.**

წინასწარი გაანგარიშებით, ამ ღონისძიების შედეგად ქვეყნის ბიუჯეტი დაახლოებით 2 მილიონ ლარს დაზოგავს.

საზოგადოების ამ საკითხით ინფორმირების მიზნით, გუშინ ფონდში საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა, როგორც მისმა გენერალურმა დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ განაცხადა, ამით მათ შესაძლებლობა მიეცემათ დღეისათვის ბაზაში არსებული მონაცემების დაზუსტება და არაკეთილსინდისიერ პენსიონერთა გამოხშირვა.

როგორც ბატონმა ზაზამ განაცხადა, კომისიების საქმიანობაში ფონდის წევრები მონაწილეობას არ მიიღებენ. 15 ივლისიდან დაიწყება და 20 ივლისისათვის დასრულდება ადგილობრივი საზოგადოებრივი კომისიების შექმნა. მასში შევლენ თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროთა წარმომადგენლები. მათ ქმედით დახმარებას გაუწევენ, აგრეთვე საქართველოს ფოსტისა და ბანკების მუშაკები. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ ხელახლა მოხდება მონაცემების კომპიუტერში შეყვანა.

ეს პროცესი 6 თვე გაგრძელდება. თუ ვინმე რაიმე მიზეზით, დროულად ვერ გაივლის რეგისტრაციას, მათ პენსია არ დაეკარგებათ. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ პენსიონერი ქვეყანაში არ იმყოფება, ის მისი მიღების უფლებას არ კარგავს. თუ ეს პერიოდი 5 წელს მოიცავს, ამ შემთხვევაში იგი ბოლო 3 წლის პენსიას მაინც მიიღებს.

ფონდს რეგისტრაციისათვის უკვე დაბეჭდილი აქვს 900 ათასამდე სარეგისტრაციო ანკეტა, რომლებშიც მითითებულია თითოეული პენსიონერის 16 ძირითადი მონაცემი. რეგისტრაციაში გასავლელად პენსიონერი თავად ცხადდება კომისიაში, რომელმაც თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი და საპენსიო მოწმობა.

იმ პენსიონერებს, რომლებიც კომისიაში ვერ გამოცხადდებიან, რეგისტრაციაში ბინაზე გაატარებენ.

სამხრეთ ოსეთში პენსიების გაცემასთან დაკავშირებით კი ბატონმა ზაზამ აღნიშნა, რომ ეს პროცესი თურმე საგრძნობლად შეფერხებულა ამ დღეებში იქ განვითარებული მოვლენების გამო, სულ მალე კვლავ გაგრძელდება. დღეისათვის 300-მდე პენსიონერი იქ უკვე იღებს ქართულ პენსიებს. ამდენს კი უკვე აღრიცხვა გავლილი აქვს.

ის, ვინც რეგისტრაციას არ გაივლის დადგენილ ვადაში, პენსიის მიღება შეუწყდება ამ პროცედურის დასრულებამდე.

რეგისტრაციის გავლისას წამოჭრილი რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში პენსიონერებს შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივ ხელისუფლებას, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რეგიონულ ან რაიონულ ფილიალებს.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

◎ წუთისოფელი

# ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

**ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს**



გვანჯი ჩიქოვანი მის რაზმელებთან ერთად.

შემდეგ დასასვენებელ ოთახში შევიდა და კვლავ გამომიგზავნა მსახური. როდესაც შევედი, მითხრა: Прошу, уделите мне несколько минут, товарищ Чиковани! უცნობმა განაგრძო – მე გთხოვეთ თქვენ, როგორც ნამდვილ ადამიანსა და საუკეთესო ვაჟკაცს, შემობრძანებულიყავით ჩემთან, როგორც ადამიანთან და გთხოვთ მიმიღოთ, არა ისე, როგორც ქალი, არამედ როგორც ადამიანი, რომელსაც თქვენთან ექნება ფრიად სერიოზული საქმეო. მე ამაზე ვუპასუხე – არასოდეს არ იფიქროთ, რომ როდესმე უწესოდ მოგეპყრობით და მზად ვარ გაგიწიოთ ადამიანური მეგობრობა-მეთქი. მან მადლობა გადამიხადა და მითხრა – ახლა წავალ, ცოტა ხანში დავბრუნდები და თქვენთან სერიოზულ საქმეზე მექნება ლაპარაკიო. მე გამოვედი ოთახიდან. ის სადღაც წავიდა. ამის შემდეგ, მართლაც, საათნახევარი არ გასულა, რომ ის ქალი დაბრუნდა და ისევ მთხოვა, მასთან შევსულიყავი. მისი პირველი კითხვა ეს იყო – ვიცნობდი თუ არა მე ლადო ჯოხაძეს. ლადოს ხსენებაზე მე ძალიან ავღელდი, თანაც მეტისმეტად გამიკვირდა და გახარებულმა ვუპასუხე – ამას როგორ მეკითხებით, მე და ლადო ერთად ვიჯექით, ძალიან მიყვარს და მითხარით, რაიმე უბედურება ხომ არ შემთხვევია-მეთქი. მას გაეღიმა და დამამშვიდა – ლადო წეღან ვნახე, თქვენი ამბავი მოვუყევი და სიხარულმა აიტაცა. ასე მითხრა, მიდი გვანჯი ჩიქოვანთან და იგი ყოველგვარ დახმარებას გაგიწევს, მიენდე მას და არაფერში უკან არ დაიხევს, არაფრით არ გიღალატებსო.

აქვე უნდა აღვნიშნო – მე ამ ქალის მოსვლამდე გაგებული მქონდა, რომ ბნელი და ცივი იაკუტიის გუბერნიაში იმჟამად, იაკუტიის ციხეში მჯდომმა პოლიტიკურმა პატიმრებმა ციხის სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ დიდი საპროტესტო გამოსვლა მოაწყვეს. იქ სისხლიანი შეტაკებაც მოხდა. მოკლულ იქნა რამდენიმე პატიმარი და ციხის ხელისუფალთაც მოუკლეს თავიანთი წარმომადგენლები. ამას მოჰყვა უმკაცრესი სადამსჯელო ზომები; გამოაცალკევეს ორმოცდაათი ყველაზე აქტიური პოლიტპატიმარი, მიუსაჯეს თითოეულს თორმეტ-თორმეტი წლის კატორღა და გადმოგზავნეს ალექსანდროვკის გამანაწილებელ პუნქტში. ეს პუნქტი კატორღის მთავარი კორპუსიდან დაშორებული იყო კილომეტრით და მოთავსებული იყო ერთ მიყრუებულ გორაკთან, ფრიად განცალკევებულ და საიდუმლო ადგილას. მე ვიცოდი, რომ ხსენებული ორმოცდაათი კაცი იქ იმყოფებოდა და თუ ლადო ჯოხაძეც მათთან ერთად იყო, ეს მხოლოდ ახლა გავიგე. ამ ქალმა მითხრა, რომ იგი იყო ცნობილი პოლიტპატიმრის გინზბურგის და. ჩამოსული იყო, რათა ძმას დახმარებოდა. ეს ქალი საზღვარგარეთ სწავლობდა რომელიღაც უნივერსიტეტში. ახლა, საზაფხულო არდადეგებზე ჩამოვიდა ძმის სანახავად, მოუხერხებია კიდევაც ეს და გაუცნია ლადო ჯოხაძე, სხვა პოლიტპატიმრებიც სასტიკი მეთვალყურეობით მოთავსებული იყვნენ ალექსანდროვკის გამანაწილებელ პუნქტში. ლადო ჯოხაძეს და მის ძმას დაევალებინათ ამ ქალისათვის, მათდა დასახმარებლად, ჩემთან ფრიად კონსპირატიულად დაემყარებინა კავშირი. ამ ქალმა მეტად საიდუმლოდ მომიყვა, რომ განმანაწილებელ პუნქტში ლადო ჯოხაძის, გინზბურგის, გურგენაძის და სხვათა ინიციატივით შემუშავებულია ორმოცდაათივე პოლიტკატორღელის გაქცევის გეგმა. კერძოდ, მათ ციხის ქვეშ უნდა გათხარონ გვირაბი და გაიქცნენ იმ ჯოჯოხეთიდან, მაგრამ ამას, გარდა დიდი, დაძაბული მუშაობისა და გაბედულებისა, ესაჭიროებოდა სხვადასხვა იარაღები, მიწა რომ გაეთხარათ, აგრეთვე, სასროლი იარაღები თვით პატიმართათვის, მოსალოდნელი გართულების შემთხვევაში გამოსაყენებლად. გინზბურგის ქალმა მთხოვა, რომ, ჯერჯერობით, კატორღისგან მოშორებით, მეშოვნა საიმედო, უშიშარი ბინა და შემდეგ გამეწია კონკრეტული დახმარება გასათხრელი და სხვა იარაღების მისაწოდებლად. მე აღვუთქვი მას ყოველგვარი დახმარება, რაც კი შემეძლებოდა. სავსებით დავარწმუნე, რომ ჩემი მხრიდან იმედიანად ყოფილიყო. მან უაღრესად დიდი მადლობა გადამიხადა.

მეორე დღესვე შევუდექი ბინის ძებნას და აღმოვაჩინე ერთი მოზრდილი, საერთო საცხოვრებლის მსგავსი დარბაზი, რომელშიც ვილაც ებრაელ ფუკს ტყავის ქარხანა ჰქონოდა და შემდეგ საერთო საცხოვრებლად გადაეკეთებინა. ეს ბინა მოეწონა გინზბურგის ქალს და დაიქირავა. მე გამიკვირდა, თუ რისთვის უნდოდა ერთ ადამიანს ამოდენა დარბაზი და გაოცებულმა ვკითხე, რატომ არ მოისურვა პატარა ოთახი. ამაზე გაეცინა და მითხრა, რომ მასთან რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვლენ ამ განწირულ კატორღელთა ჭირისუფლები.

მართლაც, რამდენიმე დღის მერე დაიწყეს გინზბურგის ქალთან ჩამოსვლა ხსენებულმა ქალებმა. მათგან მაგონდება მარია სევერიანეს ასული ლვოვა, თავის ქმართან ერთად, პოლია ფოკინა, ამხანაგთან ერთად და მრავალი სხვა საუცხოო ქალი. მე ბაზარზე მიწევდა ხოლმე გასვლა და მახსოვს, ხშირად მომადგებოდნენ და მეკითხებოდნენ: Простите, молодой человек, вы будете Чиковани Гванджи Алексеевич.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 147-151, 153-158.

◎ ხმა ხალხისა

# გავყიდოთ თუ შევინარჩუნოთ ალექსანდრე ჭავჭავაძისეული წინანდლის უმშვენიერესი მამული?

## მას ვაზისა და ღვინის სახელმწიფო მუზეუმის სტატუსი უნდა მიენიჭოს

**წლევანდელი გაზაფხული და ზაფხულიც, აშკარა პატარძალივით, ხაზმუზიანი გამოდგა. ერთ დღეს რომ მზე გწვავს, მეორე დღეს ისეთი ქარი ქრის, სად შეაფარო თავი არ იცი!**

**გაზაფხულის ყინვებმა შავზე შავი დღე დააწიეს ხეხილს. ვაზმა კი გაუძლო. ვაზი ყელმოღერილი გამოიყურება. ისეა დახუნძლული მტევნებით, გული გაგინათდება კაცს.**

**ამ ბოლო დღეებში წინანდლის საკრებულოს კარი რომ შევაღე, იქ თავი მოეყარათ სოფლის თავკაცებს, საჭირბოროტო თუ სალხინო საკითხებზე მსჯელობდნენ.**

**საკრებულოს თავმჯდომარე, ჯანღონითა და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა თორნიკე ვეფხიშვილი ოფლში იწურებოდა, სწუხდა, მწვავედ განიცდიდა სოფელში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ, თუ მორალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებას, დაკვირვებით ეძიებდა აქედან გამოსვლის გზებს.**

**ჩვენს ქვეყანაში დღეს ახალგაზრდებს უპყრიათ ხელთ სახელმწიფოს მართვის სადავეები და, სავსებით ბუნებრივად მივიჩნიე, როცა სოფლის თმაშევერცხლილი ადამიანები გულისყურით უსმენდნენ საკრებულოს ახალბედა თავმჯდომარეს, ჩვეული სიდარბაისლით იხილავდნენ ყოველ საკითხს და საკუთარ აზრს გამოთქვამდნენ.**

**მაინც, რა უჭირს, რა ულხინს, რა აღონებს ცივგომბორის ზურმუხტოვან კალთებზე ოაზისივით ამოქოჩრილ ამ სოფელს?**

ვიდრე ამ არცთუ საამო, არცთუ სახარბიელო ამბებს შევეხებოდეთ, მოდით, ერთი წუთით გადავავლოთ თვალი წინანდლის წარსულს.

ღვთისგან კურთხეულ ამ მიწაზე უხსოვარი დროიდან უღვრიათ ოფლი და სისხლი ჩვენს წინაპრებს. მათი ცხოვრების დაუშრეტელი წყარო მუდამ დოვლათით სავსე ეს სანახები, ეს ხოდაბუნები, ეს გასადევრები ყოფილა, რომლებსაც ალაზანი აწოვებს ძუძუს.

მაგრამ ამ სოფლის მშვენება, მისი საუნჯე, მისი გვირგვინი ოდითგან ვაზი და ღვინო გახლდათ და დღესაც ეს არის. აქაურ მკვიდრთ მამაპაპათაგან მოსდგამთ ვაზის მოვლა-მოშენების დახვეწილი, დაუნჯებული თვისებები, ღვინის დაყენების უძვირფასესი ტრადიციები.

ჯერ კიდევ X|X საუკუნის გარიჟრაჟზე წინანდლის დიდმა მებატონემ ალექსანდრე ჭავჭავაძემ მოჰკიდა ხელი კულტურული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საქმეს. ამ მიზნით 1835 წელს სახელმწიფო ბანკიდან ერთი მილიონი მანეთი აიღო სესხად 20 წლის ვადით. ამ თანხის დიდი ნაწილი იმ უნიკალური მარნის მშენებლობას მოახმარა, რომელსაც დღეს წინანდლის ღვინის ქარხანას ვუწოდებთ.

1829 წელს მთიდან წყალსადენი გაიყვანა სოფელში, რაც აუცილებელი იყო ღვინის წარმოების პროცესისთვის.

1831 წელს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი ააშენა (ოდნავ სახეშეცვლილი დღევანდელი მისი სახლ-მუზეუმი).

1840 წელს ნაფარეულის მამული დააგირავა 6 ათას მანეთად (ვერცხლი). მოაწყო ლაბორატორია, ორთქლის არაყსახდელი, ააშენა სხვადასხვა დამხმარე სათავსოები.

ამ და სხვა ღონისძიებათა მეოხებით უძველეს ქართულ, ტრადიციულ მევენახეობა-მეღვინეობაში თანდათან შემოიჭრა და დაინერგა ახალი, პროგრესული მეთოდები მუშაობისა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ დარგის განვითარებისთვის არა მარტო კახეთში, მთელს საქართველოშიც.

ასე დაიბადა, ასე დამკვიდრდა X|X საუკუნის პირველ ნახევარში წინანდლის მიწაზე ნიადაგქვეშა ორ-სამსართულიანი სარდაფები ღვინის დასაყენებლად, დასაძველებლად, დასავარგებლად და სასურველ ტემპერატურაზე ხანგრძლივად შესანახად.



ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ, როცა სხვათა და სხვათა მიზეზის გამო მისეული მამული რუსეთის საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის მფლობელობაში გადავიდა, ზვრებმაც, მარანმაც, ბაღმაც, მთელმა ნაგებობებმაც, მეტნაკლები სახით თავისებური ცვლილებები განიცადეს.

იხ. მე-10 გვ.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

## გლობალური მოწოდება დახმარებისაკენ

**100 ათას კაცამდე შეიკრიბა რომში, საქველმოქმედო კონცერტზე, რომლის მიზანი გახლდათ სახსრების მოკრება სამხედრო მოქმედებების ზონებში მცხოვრებ ბავშვთა დასახმარებლად. კონცერტში 200 მუსიკოსი და შემსრულებელი მონაწილეობდა. მათ რიცხვშია ალისია კეისი, კარლოს სანტანა და პოპულარული იტალიელი მომღერალი ზუკერო. შოუ მიჰყავდათ მსახიობ ანჯელინა ჯოლის, მოდელ ნაომი კემპბელსა და ფეხბურთელ ფრანჩესკო ტოტის. კონცერტის ორგანიზატორები 10 მილიონი დოლარის შეკრებას იმედოვნებენ. ეს ფული აღნიშნულ ზონებში ექვს ბავშვთა დახმარების ცენტრის შექმნას მოხმარდება და ეს ცენტრები მთელ მსოფლიოში განლაგდება.**



ცნობილმა მუსიკალურმა პროდიუსერმა კუინსი ჯონსმა რომის კონცერტი „დახმარებისაკენ გლობალურ მოწოდებად“ მონათლა. ეს როდია პირველი კეთილშობილური მისია, რომელშიც იგი მონაწილეობს. 19 წლის წინათ ჯონსმა სხვა საქველმოქმედო კონცერტი გამართა, რომლის შემოსავალიც ეთიოპიაში შიმშილის მსხვერპლთ გადაეგზავნა.

ამჟამინდელი კონცერტი გიგანტურ თეატრში შედგა, ცის ქვეშ. დასწრება უფასო იყო.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 159, კვირა, 11 ივლისი, 2004 წელი.

# მთავრობის შეცვლა ეგვიპტეში

**ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა ქვეყნის ყოფილი კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის მინისტრი აჰმედ ნაზიფი ეგვიპტის პრემიერ-მინისტრად დანიშნა. ამას იტყობინებოდა ეგვიპტის სახელმწიფო ტელევიზია, რომელმაც ამ ინფორმაციის გავრცელებისათვის სპეციალურად შეწყვიტა გადაცემები.**

რამდენიმე საათით ადრე კი გამოაცხადეს, რომ გადადგა ქვეყნის პრემიერი ათეფ ობეიდი, რომელსაც ეს პოსტი 2002 წლის ივლისის შემდეგ ეკავა, რასაც ავტომატურად მოჰყვა მთავრობის 32 წევრის გადადგომაც.

ახალ პრემიერს, რომელმაც მთავრობაში ოთხი წელი იმუშავა, თუმცა, მანამდე ნაკლებად ცნობილი ფიგურა იყო როგორც ეგვიპტეში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მიეცა 24 საათი ახალი კაბინეტის ფორმირებისათვის.

პრემიერ-მინისტრი ეგვიპტეში ტექნიკური ფიგურაა, რადგან ძირითადი უფლებამოსილებით პრეზიდენტია აღჭურვილი.

ხმები იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტი მუბარაქი აპირებდა ქვეყნის პოლიტიკური ლანდშაფტის განახლებას, კაიროში უკვე კარგა ხანია ვრცელდებოდა.

მეთვალყურეები არ მოელიან რაიმე რადიკალურ ცვლილებებს ახალი კაბინეტის მოსვლის შემდეგ.

„მუბარაქმა ხანდაზმული პრემიერი უფრო ახალგაზრდით შეცვალა (აჰმედ ნაზიფი 52 წლის არის) და ამით დასრულდა კიდეც ყველაფერი“, – განუცხადა „ასოშიეიტედ-პრესის“ კორესპონდენტს ოპოზიციური გაზეთის „ალ-არაბის“ მთავარმა რედაქტორმა აბდელ კანდალმა, რომელმაც ცვლილებებს „კოსმეტიკური“ უწოდა.



ამავე დროს, 76 წლის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელსაც ცოტა ხნის წინათ გერმანიაში გაუკეთეს ოპერაცია ხერხემალზე, დღის წესრიგში აყენებს მისი მემკვიდრის საკითხს.

მუბარაქი ხელისუფლების სათავეში მოვიდა 23 წლის წინათ – 1981 წელს, როცა ტერორისტებმა მოკლეს მისი წინამორბედი ანვარ სადათი. მუბარაქის მორიგი საპრეზიდენტო ვადა 2005 წლის ოქტომბერში იწურება.

ეგვიპტეში ახლა ბევრი ვარაუდობს, რომ პრეზიდენტი ამ როლისთვის ამზადებს თავის ვაჟს 40 წლის ქამალს, რომელიც ამჟამად სათავეში უდგას მმართველი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურ კომიტეტს და ამ ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად ჩნდება ხალხში. თუმცა მამა-შვილი ჯერჯერობით უარყოფენ ასეთ ხმებს.

მთელი რიგი მეთვალყურეების აზრით კი, ახალი პრეზიდენტი, შესაძლოა, გახდეს სამხედრო წრეების წარმომადგენელი. კერძოდ, ეგვიპტის სამხედრო დაზვერვის უფროსმა არმიის გენერალმა ომარ სულეიმანმა დიდი გავლენა მოიპოვა და, ფაქტობრივად, გახდა საჯარო პოლიტიკოსი მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მის კომპეტენციას გადასცა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური საკითხები, მათ შორის არაბეთ-ისრაელის პრობლემის მოგვარება და ეგვიპტის ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან და ერაყთან.

# სუდანს არ სურს, მეორე ერაყად იქცეს

**სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრს მიაჩნია, რომ შეერთებული შტატები მისი ქვეყნის მიმართ იყენებს ერაყში კარგად აპრობირებულ სცენარს.**

„არ შეიძლება დავუშვათ, რომ იმ ადამიანებმა, რომლებმაც მსოფლიო ჩაითრიეს ერაყის ომში, გააჩაღონ ახალი ომი, რომლიდანაც თავის დაღწევა ძალზე რთული იქნება“, – აღნიშნა მინისტრმა მუსტაფა ისმაილმა სუდანის გაზეთ „ალ-რაი-ალ-ამისათვის“ მიცემულ ინტერვიუში.

გაეროს უშიშროების საბჭო დაიწყებს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტის განხილვას. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს საერთაშორისო სანქციების შემოღებას არაბთა შეიარაღებული დაჯგუფების „ჯანჯავიდის“ ლიდერების წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალად ედებათ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა დასავლეთ სუდანის დარფურის პროვინციაში.



რეზოლუციის ტექსტის თანახმად, სანქციათა მოქმედება, შესაძლოა, გავრცელდეს სუდანის მთავრობის წევრებზეც, თუ დადასტურდება მათი კავშირი „ჯანჯავიდთან“.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ სუდანის ხელისუფლებას დარჩა „რამდენიმე დღე“ საიმისოდ, რომ დაანახოს მსოფლიოს დარფურში ვითარების რეალური გაუმჯობესება.

„პრეზიდენტი ბუში, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი, გაეროს გენერალური მდივანი ანანი და მსოფლიო გაერთიანება მოითხოვენ უფრო მეტს, ვიდრე უბრალო სიტყვებია. ჩვენ გვსურს ვიხილოთ საგრძნობი ცვლილებები – თანაც დაუყოვნებლივ“, – თქვა პაუელმა.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში დარფურში სულ ცოტა 10 ათასი კაცი დაიღუპა და მილიონამდე ადამიანი აიყარა მშობლიური კერებიდან პროსამთავრობო სახალხო მოლაშქრეების მიერ განხორციელებული რეპრესიების გამო.

ლტოლვილების მტკიცებით, „ჯანჯავიდის“ დაჯგუფების მოთარეშეები შედიან სუდანის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ დაბომბილ სოფლებში, ხოცავენ და ძარცვავენ ადამიანებს, აუპატიურებენ ქალებს.

პროვინციის შავკანიანი მოსახლეობა ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ ხართუმმა მიანიჭოს დარფურს ავტონომია და გააფართოოს პროვინციის უფლებები.

მუსტაფა ისმაილს მიაჩნია, რომ სანქციების შემოღება კიდევ უფრო გააღრმავებს კრიზისს და ეჭვქვეშ დააყენებს მორიგებას დარფურში ვითარების მოწესრიგებისა და „ჯანჯავიდის“ დაჯგუფების განიარაღების შესახებ, რომელსაც მიაღწიეს გასულ კვირას სუდანში კოლინ პაუელისა და კოფი ანანის ვიზიტის დროს.

როგორც ცნობილი გახდა, საფრანგეთმა გაილაშქრა სუდანის ოფიციალურ პირებზე სანქციების გავრცელების წინააღმდეგ. უშიშროების საბჭოს წევრთა შორისაც არ არის ერთსულოვნება იმ საკითხის თაობაზე, თუ რა ვადა უნდა მისცენ სუდანის ხელისუფლებას ლტოლვილებთან დაკავშირებული ვითარების გამოსწორებისა და „ჯანჯავიდის“ განაიარაღებისთვის. უშიშროების საბჭოს ზოგიერთი წევრის აზრით, ამერიკელთა მიერ შეთავაზებული ვადა – 30 დღე – არ არის რეალური.

აფრიკის ქვეყნების ლიდერებმა, რომლებიც ხუთშაბათს შეიკრიბნენ ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში, გადაწყვიტეს, რომ ივლისის დამლევისათვის დარფურში გაგზავნიან 300 კაცისგან შემდგარ სამშვიდობო კონტინგენტს, რომელიც დაიცავს ადგილობრივ მოსახლეობას და მიადევნებს თვალ-ყურს, თუ როგორ სრულდება შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

თუმცა, ანალიტიკოსთა აზრით, დარფურში კონფლიქტის შეწყვეტისათვის საჭირო იქნება სულ ცოტა 15 ათასი მშვიდობისმყოფლის გაგზავნა.

# მიიღეს გადაწყვეტილება კედლის მშენებლობასთან დაკავშირებით

**პალესტინელები მიესალმნენ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს დადგენილებას იმის თაობაზე, რომ ისრაელის მიერ მშენებარე დამცავი ბარიერი უკანონოა. იასირ არაფატმა სასამართლოს ასეთ გადაწყვეტილებას უწოდა „პალესტინელი ხალხის გამარჯვება“.**

თუმცა, ისრაელის ხელისუფლება აცხადებს, რომ არ დაემორჩილება „უსამართლო“ ვერდიქტს, რომელიც ისრაელს იურიდიულად არაფერს არ აკისრებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ ბარიერის მშენებლობა „ანექსიის ტოლფასია“ და ეს არღვევს პალესტინელების თვითგამორკვევის უფლებას. პალესტინელებს კი მიაჩნიათ, რომ ბარიერის მშენებლობა სხვა არაფერია, თუ არა მათი მიწების მიტაცება: ისრაელი უკვე აცხადებდა, რომ ბარიერი სჭირდება იმისთვის, რათა აღკვეთოს მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირიდან მოთარეშეების შეღწევა ქვეყნის ტერიტორიაზე.

რამდენიმე ქვეყანას, მათ შორის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო სასამართლოს უნდა შეეკავებინა თავი ამ პრობლემაში ჩარევისგან, და ისინი აცხადებენ, რომ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს ნებისმიერ დასკვნას შეუძლია მიაყენოს ზიანი ახლო აღმოსავლეთში ვითარების მოწესრიგების პროცესს.

„ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ეს არის შესაფერისი ფორუმი პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტისათვის“ – აღნიშნა ყოველივე ამის თაობაზე თეთრი სახლის წარმომადგენელმა სკოტ მაკლელანმა.

ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სავალდებულო არც ერთი მხარისთვის, თუმცა, შესაძლოა, იგი დაედოს საფუძვლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდგომ ნაბიჯებს.

# მოკლეს რუსული „ფორბსის“ რედაქტორი

**რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ გავრცელებული ცნობების თანახმად, მოსკოვში მოკლეს ჟურნალ „ფორბსის“ რუსული გამოცემის მთავარი რედაქტორი პავლე (პოლ) ხლებნიკოვი.**

პარასკევს გვიან ღამით, თავისი ოფისიდან გამოსვლისას, ხლებნიკოვი ოთხი ტყვიით დაჭრეს და იგი გარდაიცვალა „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში.

როგორც რადიოსადგური „ეხო მოსკვი“ იტყობინებოდა, მკვლელობის ადგილზე აღმოაჩინეს სხვადასხვა კალიბრის მასრები. ეს მიანიშნებს იმას, რომ მკვლელობაში სულ ცოტა ორი კაცი მაინც მონაწილეობდა.

რუსული წარმოშობის ამერიკელი პავლე ხლებნიკოვი ცნობილია, უწინარეს ყოვლისა, როგორც წიგნის – „კრემლის ნათლიის“ ავტორი, რომელიც 2000 წელს გამოიცა და ეძღვნება ბორის ბერეზოვსკის.



1996 წელს ხლებნიკოვმა „ფორბსისთვის“ დაწერა სტატია ბერეზოვსკის შესახებ, რომელშიც ამხელდა მის კრიმინალურ საქმიანობას.

ბერეზოვსკიმ მაშინ ჟურნალს სასამართლოში უჩივლა ცილისწამებისათვის, თუმცა, გამოიხმო სარჩელი მას შემდეგ, რაც რედაქციამ ოფიციალურად აღიარა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა სტატიის ავტორის მტკიცება ცნობილი ტელეჟურნალისტის მკვლელობაში ბორის ბერეზოვსკის მონაწილეობის შესახებ.

2004 წლის აპრილში, „ფორბსმა“ – მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტიანმა ბიზნეს-გამოცემამ – მოსკოვში დაიწყო ჟურნალის რუსულენოვანი ვერსიის გამოშვება. ხლებნიკოვი მის რედაქტორად დანიშნეს.

უკვე ერთი თვის შემდეგ, რუსულმა „ფორბსმა“ მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, როცა გამოაქვეყნა რუსეთის უმდიდრესი ადამიანების სია. ჟურნალის მტკიცებით, მოსკოვში ბოლო ორი წლის განმავლობაში უფრო მეტმა ადამიანმა შეძლო მილიარდიანი ქონების დაგროვება, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ქალაქში.

# მოკლედ

**294 მილიონი დოლარის ოდენობის მოგების მფლობელი გახდა 67 წლის დამლაგებელი ქალი ჯერალდინ უილიამსი. მთელმა ამერიკამ იხილა ტელეეკრანებზე, თუ როგორ იკრავდა გულში ეს ქალბატონი „მეგა მილიონის“ ლატარიის მომგებიან ბილეთს. როგორც ჯერალდინა უილიამსმა თქვა, ახლა იგი აპირებს მოგზაურობას მსოფლიოს გარშემო.**



* * *

**ერაყის ქალაქ ბააქუბში ააფეთქეს ხუთი მაღაზია, რომლებშიც ალკოჰოლიანი სასმელები იყიდებოდა. ერთ-ერთი მაღაზიის აფეთქების შედეგად დაიღუპა მახლობლად გაჩერებული ტაქსის მძღოლი, რამდენიმე ადამიანი კი – დაშავდა. თვით მაღაზიათა მფლობელები არ დაშავებულან, რადგან ინციდენტი მოხდა გამთენიისას, როცა მათ ჯერ კიდევ არ გაეღოთ მაღაზიები.**



* * *

**ავსტრიაში რესპუბლიკის პრეზიდენტის ტომას კესლერის დაკრძალვის დღეს უშიშროების გაძლიერებული ზომებია მიღებული. როგორც ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტრო იტყობინება, ვენაში ჩავა 25 სახელმწიფოს მეთაური, აგრეთვე, მთავრობათა მეთაურები, ევროპის ქვეყნების მონარქები და ტახტის მემკვიდრე უფლისწულები.**



* * *

**სამხრეთ კორეის დაზვერვამ მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი ისლამური დაჯგუფება (იგი, სავარაუდოდ, „ალ-ყაიდასთან“ უნდა იყოს დაკავშირებული) ამზადებს ტერორისტულ აქტებს იმ სატვირთო ხომალდების წინააღმდეგ, რომლებიც ემსახურებიან ერაყში განლაგებულ ამერიკის შეიარაღებულ ძალებს. ეს ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა „კორეა ტაიმსმა“, რომელიც იმოწმებდა სამხრეთ კორეის ეროვნული სადაზვერვო სამსახურის ერთ-ერთი წარმომადგენლის გამონათქვამს.**

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**ზაზა ბეჟანიძემ.**

# სპორტი

## ◎ მძლეოსნობა

# დამძიმებული „სპორტის დედოფალი“ და „ნაფტალინიანი“ წამმზომები

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა მძლეოსანთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყვნენ ბირთვის მკვრელი მარიამ ქევხიშვილი და სიგრძეზე მხტომელი იულია დუბინა. ამას წინათ ბაქოში აზერბაიჯანის თასის გათამაშებაზე მათ სალიცენზიო ნორმატივები შეასრულეს და ათენში გამგზავრების უფლებაც მოიპოვეს. ახალგაზრდა სპორტსმენებმა ეროვნულ ჩემპიონატშიც პირველი ადგილები დაიკავეს: ქევხიშვილმა – ბირთვის კვრაში, დუბინამ – სამხტომსა და 200 მეტრზე რბენაში. საგულისხმოა, რომ ქევხიშვილი და, ასევე, ბირთვის მკვრელი მამუკა ტუღუში, რომელსაც ამ შეჯიბრებაში არ მიუღია მონაწილეობა, დღეს იტალიის ქალაქ გროსეტოში გაემგზავრებიან, სადაც ახალგაზრდების მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ.**

რაც შეეხება სხვათა გამოსვლას ეროვნულ ჩემპიონატში, გარდა ერთი შემთხვევისა, დამამშვიდებელს ვერაფერს ვიტყვით, უფრო მეტიც – ზოგიერთი მაჩვენებელი ისეთია, სოფლის პირველობაზეც (თუ სადმე იმართება) სასაცილოდ რომ არ ეყოფათ. მაგალითად, ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში მეორეადგილოსანი ელზა გოქსაძე მხოლოდ 115-სანტიმეტრიან (?!) თამასას გადაევლო, ხოლო საქართველოს ჩემპიონი ნათია ჯანელიძე 140 სანტიმეტრის დაძლევით დაკმაყოფილდა. ვაჟთა შორისაც ფრიად დამაფიქრებელი შედეგები ჰქონდათ გამარჯვებულსა (175 სმ.) და მეორე ადგილზე გასულ (170 სმ.) მხტომელებს. სხვადასხვა დისტანციაზე მორბენალთა ერთ ნაწილს იმდენად აწუხებდა ზედმეტი წონა, რომ ფინიშამდე ძლივს მიაღწია. იმედია, მძლეოსნობის ფედერაცია ამ ფაქტებს ურეაგირებოდ არ დატოვებს.

ახლა კი იმ ნათელი წერტილის შესახებ, ზემოთ რომ ვახსენეთ: 110 მეტრი თარჯებით დავით ილარიანმა 13,6 წამში დაფარა, რაც საგზურისთვის საჭირო დროს 0,1 წამით სჯობს, მაგრამ იგი სალიცენზიოდ არ ჩაითვლება, რადგან ჩვენი არბიტრები შედეგებს ჯერ კიდევ „ნაფტალინიანი“ წამმზომებით აღნუსხავენ, რაც დღეს საერთაშორისო სტანდარტებისთვის შეუფერებელია...



აქვე გაუწყებთ ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**ქალები: 100 მ. რბენა.** 1. მარიამ ინაშვილი, 2. აიდა ტოროსიანი, 3. სოფიო მაჭავარიანი. **200 მ.** 1 იულია დუბინა, 2. ინაშვილი, 3. სოფიო მანუკიანი, **400 მ.** 1. ეკა ტყემალაძე, 2. მანუკიანი (ყველა – თბილისი), 3. გაიანე უსტიანი (ახალციხე). **400 მ. თარჯრბენი:** 1. ტყემალაძე, 2. ფერიდე გონგაძე (ქუთაისი). **800 მ.** 1. ქეთინო კუპატაძე (თბილისი), 2. უსტიანი, 3. სოფიო ლაბაძე (ახალციხე), **1500 მ.** 1. კუპატაძე, 2. ნინო თათრულაიძე (ახმეტა), 3. თამარ გოგოლაძე (ბორჯომი). **3000 მ.** 1. თათრულაიძე. 2. გიული დეკანაძე (ვანი), 3. ნადეჟდა სოკოლოვა (ახალციხე). **ბირთვი.** 1. მარიამ ქევხიშვილი, 2. ნინო ელიზბარაშვილი, 3. თამარ ჯაფარიძე, **ბადრო.** 1. ელიზბარაშვილი, 2. თამარ ღვთისიაშვილი (ყველა – თბილისი). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ნათია ჯანელიძე (თბილისი), 2. ბელა გოგსაძე (გარდაბანი). **შუბი.** 1. მარიკა თუთისანი (ქუთაისი), 2. ქეთევან ჩაგანავა (ფოთი), 3. ანა უტიაშვილი (სოხუმი). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ნათია ჯანელიძე, 2. სოფიო მაჭავარიანი, 3. სოფიო კენჭიაშვილი. **სამმხტომი.** 1. იულია დუბინა (ყველა – თბილისი).

**ვაჟები. 100 მ. რბენა.** 1. დავით ცუცქირიძე (ბორჯომი), 2. ლადო გაბუნია, 3. გიორგი ამირანაშვილი (ორივე – თბილისი). **200 მ.** 1. ცუცქირიძე, 2. დავით ილარიანი (გარდაბანი), 3. ამირანაშვილი. **400 მ.** 1. ამირან კირვალიძე (თბილისი), 2. თენგიზ ღვინჯილია (ზუგდიდი), 3. კოტე ბაიკეევი (თბილისი). **800 მ.** 1. ღვინჯილია, 2. ალეკო მურჯიკნელი, 3. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ორივე – ახალციხე). **1500 მ.** 1. გიორგი შეკრელაძე (დუშეთი), 2. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე), 3. მერაბ ქინიძე (თბილისი). **3000 მ**. 1. შეკრელაძე, 2. ჰამლეტ მამიკონიანი (თბილისი), 3. ჯეირან ხოფერია (ფოთი). **5000 მ.** 1. მამიკონიანი, 2. ხოფერია, 3. შალვა ნადირაძე (თბილისი). **400 მ. თარჯრბენი.** 1. კირვალიძე, 2. დავით გვიჩია (ფოთი), 3. დავით ტაბეშაძე (ქუთაისი). **110 მ. თარჯრბენი.** 1. ილარიანი, 2. ტურიატკო, 3. გვიჩია. **ბადრო.** 1. ზურაბ გიგაია (მარტვილი), 2. გიორგი ბედოშვილი (თბილისი), 3. დავით შონია (ფოთი). **სამმხტომი.** 1. სერგო ტერიატკო (ქუთაისი), 2. ბექა დანელია (მარტვილი), 3. ომარ მეჯიდოვი (ოზურგეთი). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. მიხეილ აბესაძე, 2. ქოროღლი კაციაშვილი (ორივე – გარდაბანი), 3. ლევან კასრაძე (თბილისი). **ბირთვი.** 1. გიგაია, 2. ბედოშვილი, 3. გიორგი ღვთისავარაშვილი (მცხეთა).



**ლექსო ცინცაძე.**

**სურათებზე: ასპარეზობის მომენტები.**
**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

## ◎ კალათბურთი

### მარცხით დაიწყეს

**ესპანეთის ქალაქ სარაგოსაში დაიწყო ჭაბუკ კალათბურთელთა ევროპის პირველობა. საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი თამაზ ოქრუაშვილი) სტარტზე საფრანგეთის გუნდს შეხვდა. წლევანდელ სეზონში ჩვენები ფრანგებთან ორჯერ დამარცხდნენ. გუშინწინ პირად შეხვედრებში წაგებათა რიცხვი გასამდა, თანაც მეტოქემ დიდი ანგარიშით – 107:64 გვძლია. წინ კიდევ ოთხი მატჩია იტალიასთან, ლატვიასთან, რუსეთთან და სერბეთთან, ამდენად, ოთხეულში მოხვედრის შანსი მაინც რჩება.**

ჩვენს ჯგუფში I ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: იტალია – სერბეთი 101:90; ლატვია – რუსეთი 95:94.

P.S. გუშინ ჩვენები იტალიელებთან დამარცხდნენ 83:90, ფრანგებმა კი ლატვიელებს მოუგეს – 72:61.

### ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ

**საბერძნეთში კადეტ კალათბურთელთა ევროპის პირველობის ჯგუფური ტურნირი საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი ნიკო ჩერქეზიშვილი) მარცხით დაასრულა. ჩვენმა ბიჭებმა სამივე შეხვედრა წააგეს: ლიტვასთან – 63:90, იტალიასთან – 54:71 და სერბეთთან – 68:79.**

კადეტთა უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად საქართველოს ნაკრებს კიდევ რამდენიმე მატჩი ელის. უიღბლოთა ჯგუფში იგი შეხვდება ხორვატეთის, გერმანიისა და ისრაელის გუნდებს, შემდეგ კი მეორე ამგვარივე ჯგუფის წევრებთან (პოლონეთი, სერბეთი, ლატვია, ბელგია) ოლიმპიური სისტემით გაირკვევა ელიტაში დამრჩენთა ვინაობა.

**გიორგი გაგუა.**

## ◎ ყოველი მხრიდან



### ისევ მსოფლიო რეკორდი

**გუშინ ვწერდით, რომ ახალგაზრდა მოცურავის მაიკლ ფელპსის მსოფლიო რეკორდით აღინიშნა აშშ ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი ტურნირის პირველი დღე ლონგ-ბიჩის სანაპიროზე.**

არც ტურნირის მეორე დღე დარჩენილა მსოფლიო რეკორდის გარეშე. 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში 22 წლის ბრენდან ჰანსენმა 59,30 წამში დაფარა დისტანცია, რაც თითქმის ნახევარი წამით ნაკლებია იაპონელი კოსუკი ვიტაჯიმას დროზე, რომელიც მან 2003 წელს ბარსელონაში, მსოფლიო ჩემპიონატზე აჩვენა. ბრენდანს განაღდებული აქვს ათენის ოლიმპიური თამაშების საგზური.

აღსანიშნავია, რომ 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადის წინ ასეთსავე შესარჩევ ტურნირზე ჰანსენს 100 და 200 მეტრზე ბრასით სტილით ასპარეზობისას წამის რაღაც ნაწილი დააკლდა „მწვანე კონტინენტისაკენ“ საგზურამდე. აი, ახლა კი ოცნება აისრულა!

P.S. **19 წლის მაიკლ ფელპსმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ლონგ-ბიჩიში – იგი პირველი იყო 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. რაც, შეიძლება, ათენში მისი და ავსტრალიელი იან ტორპის დაპირისპირების მიზეზი გახდეს.**

**სურათზე: მაიკლ ფელპსი.**

### რაც ყველაზე საპატიოა

**ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ოლიმპიური თამაშების ყოველი მონაწილისათვის ძალზე საპატიო უნდა იყოს, თუკი მას მიანდობენ ოლიმპიადის საზეიმო გახსნისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე თავისი ქვეყნის დელეგაციის წინ სახელმწიფოს დროშის წაღებას.**

სწორედ ასეთ პატივად მიიჩნია სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა (ბარსელონა – 92, ატლანტა – 96 და სიდნეი – 2000), შტანგისტმა პიროს დიმასმა, როცა მას მიანდეს მოახლოებულ ოლიმპიურ თამაშებზე საბერძნეთის დროშის ტარება.

სხვათა შორის, ის მეორედ იქნება ოლიმპიური მედროშე. პირველად კი 8 წლის წინათ იყო.

ისიც აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად ყოველ ოლიმპიადაზე დელეგაციათა პარადს საბერძნეთი ხსნის.

ათენში საზეიმო ცერემონიაზე ოლიმპიელთა ფიცს სპორტსმენთა სახელით წაიკითხავს მოცურავე ზოია დიმოსხაკი, ხოლო არბიტრების სახელით – კალათბურთის მსაჯი ლაზაროს ვერეადისი.

### ვეტერინარზეა დამოკიდებული

**მსოფლიო ექს-ჩემპიონმა, ავსტრალიელმა ჯობი დაიკამ, შეიძლება, დაკარგოს სატრეკო ველომრბოლის ადგილი მწვანე კონტინენტის ოლიმპიურ ნაკრებში. უახლოეს ხანში იგი მოწმედ უნდა გამოვიდეს მეორე ველომრბოლის – მარკ ფრენჩის საქმეზე. ის კი დისკვალიფიცირებულია ორი წლით აკრძალული პრეპარატებისა და ზრდის ჰორმონების მიღებისათვის, თანაც ფრენჩს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სამუდამოდ აუკრძალა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა.**

რაც მთავარია, მოსამართლე რობერტ ანდერსონი დარწმუნებულია, რომ დისკვალიფიცირებულ ფრენჩს სწორედ დაიკა ამარაგებდა დოპინგით, რასაც იმაზე აფუძნებს, რომ ექს-ჩემპიონს ჰყავს ძაღლი – გრეიჰაუნდი. ვეტერინარები კი მისთვის ხშირად იყენებდნენ სწორედ იმ ზრდის ჰორმონებს, რაც ფრენჩის ანალიზებში აღმოაჩინეს.

### კანონზომიერი მოულოდნელობა?

**შეიძლება ასეთი პარალელის გავლება: ისევე როგორც უიმბლდონის უაღრესად პრესტიჟულ ტურნირზე ბევრი არ მოელოდა, რომ ფინალში მარია შარაპოვა გავიდოდა, იქ უძლიერეს ამერიკელს – სერენა უილიამსს იოლად დაამარცხებდა და მსოფლიოს აალაპარაკებდა, ასევე, ალბათ, ბევრი არ მოელოდა, რომ ტრიპოლში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ჭადრაკში არცთუ დიდად ცნობილი, რეიტინგით 54-ე უზბეკი მოჭადრაკე რუსტამ კასიმჯანოვი ბევრ ავტორიტეტს (ივანჩუკი, გრიშჩუკი, ტოპალოვი) „ბოლოს მოუღებდა“ და ფინალში მაიკლ ადამსს (მე-6) დაუპირისპირდებოდა, თანაც როგორ?**

მათი პირველი პარტია მე-18 სვლაზე ყაიმით დამთავრდა. აქ შავებით უზბეკი თამაშობდა.

მეორე პარტიაში რუსტამმა (მას დეკემბერში 25 წელი შეუსრულდება) კარგად ისარგებლა ინგლისელის შეცდომებით და 55-ე სვლაზე გაიმარჯვა.

32 წლის ადამსმა, როგორც ჩანს, თავისი დიდი გამოცდილების მთელი რეზერვები მოსინჯა, აღმავლობით ითამაშა მესამე პარტია და 47-ე სვლაზე უზბეკი დიდოსტატი დანებდა.

ახლა ანგარიში თანაბარია – 1,5:1,5. სათამაშო დარჩა სამი პარტია, საიდანაც ორი კასიმჯანოვმა „თეთრებით“ უნდა ითამაშოს.

შეგახსენებთ, რომ გამარჯვებული, ჩემპიონის ტიტულის გარდა, მიიღებს 100 ათასი დოლარის ჩეკს და მოიპოვებს პლანეტის პირველ მოჭადრაკესთან გარი კასპაროვთან თამაშის უფლებას (იქ კი საპრიზო ფონდი უკვე მილიონი დოლარია). გამარჯვებულს ასევე გადაეცემა ლიბანის პრეზიდენტის მუამარ კადაფის ოქროს თასი.

### „ევრო-2004“-ის



### ლამაზმანები

**მართალია, პორტუგალიის ნაკრების კაპიტანმა ლუიშ ფიგუმ ვერ შეძლო თავისი გუნდის გაჩემპიონება, მაგრამ გული იმით მაინც შეიძლება დაიმშვიდოს, რომ მისი ცოლი, შვედი ფოტომოდელი ჰელენ სვედინი აღიარეს ყველაზე ლამაზ ქალად 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელების ცოლებსა და საყვარლებში.**

როგორც ესპანეთის AS იტყობინება, ფიგუს ცოლმა გაუსწრო კრისტიან ვიერისა და მილოშ ბაროშის „დაქალებს“ – ელისაბედ კანალისს და ევა კილიანოვას. ყველაზე ლამაზ ქალებში დასახელებული არიან, აგრეთვე, რაულის ცოლი – მამენ სანელი, მაგნუს ჰედმანის ცოლი – მაგდალენა გრაფი და ტიერი ანრის შეყვარებული – ნიკოლ მერი.

ფიგუ და სვედინი ერთმანეთს შეხვდნენ 1996 წელს ბარსელონაში, გამოჩენილი მოცეკვავის ფლაშენკო ჰოაკინ კორტესის კონცერტზე. დაქორწინდნენ 2001 წელს. ახლა ჰყავთ ორი ქალიშვილი – 5 წლის დანიელა და 2 წლის მარტინა.

◎ თქვენთვის, გულშემატკივრებო

# ინყება XVI ეროვნული ჩემპიონატი

**ვინ დაასვენებს ფეხბურთის ქომაგს – ეს-ესაა დასრულდა „ევრო-2004“, გორის „დილამაც“ მოასწრო კონტინენტის საკლუბო ტურნირის – ინტერტოტოს თასის გათამაშების დაჭაშნიკება, მომავალ კვირაში თბილისური ტრიოც ჩაებმება საერთაშორისო ბატალიებში – „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონთა ლიგის, „დინამო“ და „თბილისი“ – უეფას თასის გათამაშების საკვალიფიკაციო რაუნდში, ხოლო სეზონის უმთავრესი საშინაო ასპარეზობა – XVI ეროვნული ჩემპიონატი უჩვეულოდ ადრე, 23 ივლისს აიღებს სტარტს. მოგეხსენებათ, ჩვენი ეროვნული ნაკრები ადრეული შემოდგომიდან „მუნდიალ-2006“-ის შესარჩევ ციკლში იწყებს გამოსვლას, ასე რომ, შიდაქართულ შეხვედრებს ერთგვარი სარეპეტიციო დატვირთვაც ენიჭება.**
**გზა დაელოცოს XVI ეროვნულს!**

*1 წრე*
*I ტური*
*23.07.2004 პარასკევი*
1 დინამო(თბილისი) – თბილისი (თბილისი)
*24.07.2004 შაბათი*
2 ტორპედო(ქუთაისი) – სიონი (ბოლნისი)
3 სამგურალი(წყალტუბო) – რუსთავი (რუსთავი)
4 კოლხეთი1913(ფოთი) – ლოკომოტივი (თბილისი)
5 დინამო (ბათუმი) – ქობულეთი (ქობულეთი)
*25.07.2004 კვირა*
6 დილა(გორი) – ვიტ ჯორჯია(თბილისი)
*II ტური*
*31.07.2004 შაბათი*
1 სიონი – ქობულეთი
2 ვიტ ჯორჯია – დინამო(ბთ)
3 ტორპედო – სამგურალი
*01.08.2004 კვირა*
4 რუსთავი – კოლხეთი1913
*02.08.2004 ორშაბათი*
5 თბილისი – დილა
6 ლოკომოტივი – დინამო(თბ)
*III ტური*
*06.08.2004 პარასკევი*
1 დინამო(თბ) – რუსთავი
2 დინამო(ბთ) – თბილისი
*07.08.2004 შაბათი*
3 სამგურალი – სიონი
4 კოლხეთი1913 – ტორპედო
5 დილა – ლოკომოტივი
*08.08.2004 კვირა*
6 ქობულეთი – ვიტ ჯორჯია
*IVტური*
*14.08.2004 შაბათი*
1 ლოკომოტივი – დინამო(ბთ)
2 რუსთავი – დილა
3 სამგურალი – კოლხეთი1913
*15.08.2004 კვირა*
4 სიონი – ვიტ ჯორჯია
5 თბილისი – ქობულეთი
6 ტორპედო – დინამო(თბ)
*V ტური*
*21.08.2004 შაბათი*
1 კოლხეთი1913 – სიონი
2 დინამო(თბ) – სამგურალი
3 დილა – ტორპედო
4 დინამო(ბთ) – რუსთავი
5 ქობულეთი – ლოკომოტივი
6 ვიტ ჯორჯია – თბილისი
*VI ტური*
*29.08.2004 კვირა*
1 სიონი – თბილისი
2 ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
3 რუსთავი – ქობულეთი
4 ტორპედო – დინამო(ბთ)
5 სამგურალი – დილა
6 კოლხეთი1913 – დინამო(თბ)
*VIIტური*
*11.09.2004 შაბათი*
1 დინამო(თბ) – სიონი
2 დილა – კოლხეთი1913
3 დინამო(ბთ) – სამგურალი
4 ქობულეთი – ტორპედო
5 ვიტ ჯორჯია – რუსთავი
6 თბილისი – ლოკომოტივი
*VIII ტური*
*15.09.2004 ოთხშაბათი*
1 სიონი – ლოკომოტივი
2 რუსთავი – თბილისი
3 ტორპედო – ვიტ ჯორჯია
4 სამგურალი – ქობულეთი
5 კოლხეთი1913 – დინამო(ბთ)
6 დინამო(თბ) – დილა
*IXტური*
*19.09.2004 კვირა*
1 დილა – სიონი
2 დინამო(ბთ) – დინამო(თბ)
3 ქობულეთი – კოლხეთი1913
4 ვიტ ჯორჯია – სამგურალი
5 თბილისი – ტორპედო
6 ლოკომოტივი – რუსთავი

*X ტური*
*25.09.2004 შაბათი*
1 სიონი – რუსთავი
2 ტორპედო – ლოკომოტივი
3 სამგურალი – თბილისი
4 კოლხეთი1913 – ვიტ ჯორჯია
5 დინამო(თბ) – ქობულეთი
6 დილა – დინამო(ბთ)
*XI ტური*
*29.09.2004 ოთხშაბათი*
1 დინამო(ბთ) – სიონი
2 ქობულეთი – დილა
3 ვიტ ჯორჯია – დინამო(თბ)
4 თბილისი – კოლხეთი1913
5 ლოკომოტივი – სამგურალი
6 რუსთავი – ტორპედო

*2 წრე*
*XII ტური*
*03.10.2004 კვირა*
1 სიონი – ტორპედო
2 რუსთავი – სამგურალი
3 ლოკომოტივი – კოლხეთი1913
4 თბილისი – დინამო(თბ)
5 ვიტ ჯორჯია – დილა
6 ქობულეთი – დინამო(ბთ)
*XIIIტური*
*07.10.2004 ხუთშაბათი*
1 ქობულეთი – სიონი
2 დინამო(ბთ) – ვიტ ჯორჯია
3 დილა – თბილისი
4 დინამო(თბ) – ლოკომოტივი
5 კოლხეთი1913 – რუსთავი
6 სამგურალი – ტორპედო
*XIV ტური*



*16.10.2004 შაბათი*
1 სიონი – სამგურალი
2 ტორპედო – კოლხეთი1913
3 რუსთავი – დინამო(თბ)
4 ლოკომოტივი – დილა
5 თბილისი – დინამო(ბთ)
6 ვიტ ჯორჯია – ქობულეთი
*XVტური*
*23.10.2004 შაბათი*
1 ვიტ ჯორჯია – სიონი
2 ქობულეთი – თბილისი
3 დინამო(ბთ) – ლოკომოტივი
4 დილა – რუსთავი
5 დინამო(თბ) – ტორპედო
6 კოლხეთი1913 – სამგურალი
*XVIტური*
*27.10.2004 ოთხშაბათი*
1 სიონი –კოლხეთი1913
2 სამგურალი – დინამო(თბ)
3 ტორპედო – დილა




4 რუსთავი – დინამო(ბთ)
5 ლოკომოტივი – ქობულეთი
6 თბილისი – ვიტ ჯორჯია
*XVII ტური*
*31.10.2004 კვირა*
1 თბილისი – სიონი
2 ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
3 ქობულეთი – რუსთავი
4 დინამო(ბთ) – ტორპედო
5 დილა – სამგურალი
6 დინამო(თბ) – კოლხეთი1913
*XVIIIტური*
*07.11.2004 კვირა*
1 სიონი – დინამო(თბ)
2 კოლხეთი1913 – დილა
3 სამგურალი – დინამო(ბთ)
4 ტორპედო – –ქობულეთი
5 რუსთავი – ვიტ ჯორჯია
6 ლოკომოტივი – თბილისი
*XIX ტური*
*11.11.2004 ხუთშაბათი*
1 ლოკომოტივი – სიონი
2 თბილისი – რუსთავი
3 ვიტ ჯორჯია – ტორპედო
4 ქობულეთი – სამგურალი
5 დინამო(ბთ) – კოლხეთი1913
6 დილა – დინამო(თბ)
*XX ტური*
*20.11.2004 შაბათი*
1 სიონი – დილა
2 დინამო(თბ) – დინამო(ბთ)
3 კოლხეთი1913 – ქობულეთი
4 სამგურალი – ვიტ ჯორჯია
5 ტორპედო – თბილისი
6 რუსთავი – ლოკომოტივი
*XXI ტური*
*24.11.2004 ოთხშაბათი*
1 რუსთავი – სიონი
2 ლოკომოტივი – ტორპედო
3 თბილისი – სამგურალი
4 ვიტ ჯორჯია – კოლხეთი1913
5 ქობულეთი – დინამო(თბ)
6 დინამო(ბთ) – დილა
*XXII ტური*
*28.11.2004 კვირა*
1 სიონი – დინამო(ბთ)
2 დილა – ქობულეთი
3 დინამო(თბ) – ვიტ ჯორჯია
4 კოლხეთი1913 – თბილისი
5 სამგურალი – ლოკომოტივი
6 ტორპედო – რუსთავი
*3 წრე*

*XXIII ტური*
*05.12.2004 კვირა*
1 დინამო(თბ) – თბილისი
2 ტორპედო – სიონი
3 სამგურალი – რუსთავი
4 კოლხეთი1913 – ლოკომოტივი
5 დილა – ვიტ ჯორჯია
6 დინამო(ბთ) – ქობულეთი
*XXIV ტური*
*09.12.2004 ხუთშაბათი*
1 სიონი – ქობულეთი
2 რუსთავი – კოლხეთი1913
3 ტორპედო – სამგურალი
4 ვიტ ჯორჯია – დინამო(ბთ)
5 თბილისი – დილა
6 ლოკომოტივი – დინამო(თბ)
*XXV ტური*
*14.12.2004 სამშაბათი*
1 დინამო(თბ) – რუსთავი
2 დინამო(ბთ) – თბილისი
3 სამგურალი – სიონი
4 კოლხეთი1913 – ტორპედო
5 დილა – ლოკომოტივი
6 ქობულეთი – ვიტ ჯორჯია

*XXVI ტური*
*18.02.2005 პარასკევი*
1 ლოკომოტივი – დინამო(ბთ)
2 რუსთავი – დილა
3 სამგურალი – კოლხეთი1913
4 სიონი – ვიტ ჯორჯია
5 თბილისი – ქობულეთი
6 ტორპედო – დინამო(თბ)
*XXVII ტური*
*22.02.2005 სამშაბათი*
1 კოლხეთი1913 – სიონი
2 დინამო(თბ) – სამგურალი
3 დილა – ტორპედო
4 დინამო(ბთ) – რუსთავი
5 ქობულეთი – ლოკომოტივი
6 ვიტ ჯორჯია – თბილისი
*XXVIII ტური*
*26.02.2005 შაბათი*
1 სიონი – თბილისი
2 ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
3 რუსთავი – ქობულეთი
4 ტორპედო – დინამო(ბთ)
5 სამგურალი – დილა
6 კოლხეთი1913 – დინამო(თბ)
*XXIX ტური*
*02.03.2005 ოთხშაბათი*
1 დინამო(თბ) – სიონი
2 დილა – კოლხეთი1913
3 დინამო(ბთ) – სამგურალი
4 ქობულეთი – ტორპედო
5 ვიტ ჯორჯია – რუსთავი
6 თბილისი – ლოკომოტივი
*XXX ტური*
*06.03.2005 კვირა*
1 სიონი – ლოკომოტივი
2 რუსთავი – თბილისი
3 ტორპედო – ვიტ ჯორჯია
4 სამგურალი – ქობულეთი
5 კოლხეთი1913 – დინამო(ბთ)
6 დინამო(თბ) – დილა
*XXXI ტური*
*12.03.2005 შაბათი*
1 დილა – სიონი
2 დინამო(ბთ) – დინამო(თბ)
3 ქობულეთი – კოლხეთი1913
4 ვიტ ჯორჯია – სამგურალი
5 თბილისი – ტორპედო
6 ლოკომოტივი – რუსთავი
*XXXII ტური*
*16.03.2005 ოთხშაბათი*
1 სიონი – რუსთავი
2 ტორპედო – ლოკომოტივი
3 სამგურალი – თბილისი
4 კოლხეთი1913 – ვიტ ჯორჯია
5 დინამო(თბ) – ქობულეთი
6 დილა – დინამო(ბთ)
*XXXIII ტური*

*20.03.2005 კვირა*
1 დინამო(ბთ) – სიონი
2 ქობულეთი – დილა
3 ვიტ ჯორჯია – დინამო(თბ)
4 თბილისი – კოლხეთი1913
5 ლოკომოტივი – სამგურალი
6 რუსთავი – ტორპედო

*4 წრე*
*XXXIV ტური*
*02.04.2005 შაბათი*
1 სიონი – ტორპედო
2 რუსთავი – სამგურალი
3 ლოკომოტივი – კოლხეთი1913
4 თბილისი – დინამო(თბ)
5 ვიტ ჯორჯია – დილა
6 ქობულეთი – დინამო(ბთ)
*XXXVტური*
*10.04.2005 კვირა*
1 ქობულეთი – სიონი
2 დინამო(ბთ) – ვიტ ჯორჯია
3 დილა – თბილისი
4 დინამო(თბ) – ლოკომოტივი
5 კოლხეთი1913 – რუსთავი
6 სამგურალი – ტორპედო
*XXXVI ტური*
*16.04.2005 შაბათი*
1 სიონი – სამგურალი
2 ტორპედო – კოლხეთი1913
3 რუსთავი – დინამო(თბ)
4 ლოკომოტივი – დილა
5 თბილისი – დინამო(ბთ)
6 ვიტ ჯორჯია – ქობულეთი

*XXXVII ტური*
*20.04.2005 ოთხშაბათი*
1 ვიტ ჯორჯია – სიონი
2 ქობულეთი – თბილისი
3 დინამო(ბთ) – ლოკომოტივი
4 დილა – რუსთავი
5 დინამო(თბ) – ტორპედო
6 კოლხეთი1913 – სამგურალი
*XXXVIII ტური*
*24.04.2005 კვირა*
1 სიონი – კოლხეთი1913
2 სამგურალი – დინამო(თბ)
3 ტორპედო – დილა
4 რუსთავი – დინამო(ბთ)
5 ლოკომოტივი – ქობულეთი
6 თბილისი – ვიტ ჯორჯია
*XXXIX ტური*
*30.04.2005 შაბათი*
1 თბილისი – სიონი
2 ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
3 ქობულეთი – რუსთავი
4 დინამო(ბთ) – ტორპედო
5 დილა – სამგურალი
6 დინამო(თბ) – კოლხეთი1913
*XL ტური*
*08.05.2005 კვირა*
1 სიონი – დინამო(თბ)
2 კოლხეთი1913 – დილა
3 სამგურალი – დინამო(ბთ)
4 ტორპედო – ქობულეთი
5 რუსთავი – ვიტ ჯორჯია
6 ლოკომოტივი – თბილისი
*XLI ტური*
*14.05.2005 შაბათი*
1 ლოკომოტივი – სიონი
2 თბილისი – რუსთავი
3 ვიტ ჯორჯია – ტორპედო
4 ქობულეთი – სამგურალი
5 დინამო(ბთ) – კოლხეთი1913
6 დილა – დინამო(თბ)
*XLII ტური*
*18.05.2005 ოთხშაბათი*
1 სიონი – დილა
2 დინამო(თბ) – დინამო(ბთ)
3 კოლხეთი1913 – ქობულეთი
4 სამგურალი – ვიტ ჯორჯია
5 ტორპედო – თბილისი
6 რუსთავი – ლოკომოტივი
*XLIII ტური*
*22.05.2005 კვირა*
1 რუსთავი – სიონი
2 ლოკომოტივი – ტორპედო
3 თბილისი – სამგურალი
4 ვიტ ჯორჯია – კოლხეთი1913
5 ქობულეთი – დინამო(თბ)
6 დინამო(ბთ) – დილა
*XLIVტური*
*30.05.2005 ოთხშაბათი*
1 სიონი – დინამო(ბთ)
2 დილა – ქობულეთი
3 დინამო(თბ) – ვიტ ჯორჯია
4 კოლხეთი1913 – თბილისი
5 სამგურალი – ლოკომოტივი
6 ტორპედო – რუსთავი

სტუმარი

# მარწყვიკრეფია ბიჭის ნაამბობი დიდობაში

## ერთი დღე მწერალ ნუგზარ შატაიძესთან

**შეხვედრა ძველ უბანში, სოლოლაკში დავთქვით, ოქროყანის ქუჩაზე, რომელსაც ზემოდან მამადავითის მადლი დაჰფენია. იქვე, თავის ეზოში, სახლის გვერდით პატარა ქოხი დაუდგამს და სამუშაო კაბინეტი მოუწყვია. უთენია იღვიძებს – 6-7 საათზე. სახლიდან ფეხაკრეფით გამოდის, რომ ოჯახის წევრები არ გააღვიძოს და, თუ სამუშაო აქვს, დაეწაფება წერას. ოთხ საათს მაინც იმუშავებს, მერე ეზოშივე გაივლ-გამოივლის, უკვე გაღვიძებულ თავისიანებს გამოელაპარაკება, ტელევიზორს შეხედავს და დაიძინებს. საღამოს ისევ შევა თავის ქოხ-კაბინეტში და ისევ სამ-ოთხ საათს წაიმუშავებს. ქალაქში გასვლას ერიდება, მეშინია, არ ავირიოო, რაც, რომ გავშიფროთ, ათასი ნაცნობ-მეგობრის შეხვედრას ნიშნავს, ძალიან ხშირად, სხვა „უარესი“ თუ არაფერი, ხინკალი და ლუდი რომ მოჰყვება.**



ნუგზარ შატაიძის კაბინეტის ერთ კედელზე ილიას, ვაჟას, დავით კლდიაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის სურათებთან ერთად ერთი პატარა, უცნობი, ბალახზე წამოსკუპებული ბიჭის სურათიც შევნიშნე.

– ეს მე ვარ, ბალღობაშიო, – ჩემი ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა ნუგზარმა. – 12-14 წლის ბიჭები მარწყვის საკრეფად გავედით მინდორში. იმ დროს კასპის ახალქალაქში ახალგაზრდა მხატვრები, სტუდენტი გოგო-ბიჭები იყვნენ ჩამოსული. დადიოდნენ, ხატავდნენ, რაღაც ესკიზებს აკეთებდნენ. ერთმა ახალგაზრდა კაცმა შემომთავაზა, დაგხატავო. დამხატე-მეთქი და ეგრე დავჯექი ბალახზე. იმან რაღაცა ჩახატა. ეს სურათი, ეტყობა, მერე დაამუშავა, მაშინ მხოლოდ ესკიზები გააკეთა.

„ლელოში“ ვმუშაობდი. იქ მუშაობდა ერთი გადასარევი კაცი, მშვენიერი მხატვარი გოგი იაშვილი. ძალიან მიყვარდა და პატივს ვცემდი. ბატონი გოგი რომ გარდაიცვალა, როგორც წესი იყო, რედაქციაში ფული ავკრიფეთ და თენგიზ გიორგაძემ და მე ოჯახს ავუტანეთ. სადაც გოგი ესვენა, იმ ოთახის კედლებზე მისივე სურათები იყო გამოფენილი. გავიხედე, ეს სურათიც იქ არ ჰკიდია? გავგიჟდი, ჩემი თავი რომ ვიცანი. ძალიან მომინდა, ის სურათი მქონოდა, მაგრამ მაშინ, იმ სიტუაციაში რას ვიტყოდი. ხმაც არ ამომიღია. ამის მერე თითქმის ოცი-ოცდახუთი წელი გავიდა. ჟურნალ „ომეგაში“ ვმუშაობ. ერთ დღესაც ახალგაზრდა კაცი მოვიდა. სუფრა გავშალეთ, ახალი თანამშრომელი შემოგვემატა და ხომ უნდა გაგვეცნო. თითო ჭიქა დავლიეთ. ვინა ხარ, საიდან მოსულხარ-მეთქი. მალხაზი ვარ, იაშვილიო. მამაშენს რა ერქვა? – გოგი. – სად მუშაობდა? – „ლელოში“. დედა, ბიჭო, რომ იცოდე, როგორ მიყვარდა მამაშენი და რა პატივს ვცემდი-მეთქი. მერე იმ სურათის ისტორია ვუამბე. მეორე დღესვე არ მომიტანა!

მართლაც ამაღელვებელი ისტორიაა. ამ კედელზე ერთი სურათის ადგილიცაა...

– ჰო, იქ რეზო ინანიშვილის სურათი მეკიდა, 70-იან წლებში გადაღებული, მე და რეზო ერთად ვიყავით. ჯემალ ზენაიშვილს დასჭირდა, რაღაც გაზეთს უშვებდა და გამომართვა.

***– შენ იმ შენი ბიჭობით მოდიხარ, მარწყვის საკრეფად რომ იყავი გასული, მთელი შემოქმედება შენა ხარ, ნელ-ნელა იზრდები, ვაჟკაცდები, ლამის არის, დაბერდე კიდეც.***

– ალბათ ეგრეა. მე ხომ სოფელზე ვწერდი, ახლა გამოვურიე ერთიორი ნოველა ქალაქზე. მწერლობა მაინც მონატრებაა. თუ არ ვცდები, ფოლკნერი წერს ჰემინგუეიზე, მაგას ახალგაზრდობაში სულ შიოდა და საჭმელ-სასმელი ენატრებოდა. ამიტომაც სულ ამაზე წერსო. მართლაც ეგრეა. რაც გენატრება, იმაზე წერ, იმ სამყაროზე, რომელიც შენია, და გენანება, რომ მიდის, იკარგება, აღარ არსებობს. ვცდილობ, ისევ იმ სამყაროს დავუბრუნდე საწერ მაგიდასთან. ახალგაზრდობაში ბავშვობის დაკარგულ სამყაროს მივტიროდი, ახლა ახალგაზრდობაც დაკარგულია. და უბედურება ეს არის, ადამიანი მთელი ცხოვრება რაღაცას კარგავს, რა თქმა უნდა, იმავდროულად იძენს კიდეც, მაგრამ ის დანაკარგი უფრო მძიმეა და მნიშვნელოვანი.

***– შენი ახალი წიგნის „ნოემბრის წვიმის“ გარეკანის ბოლო გვერდზე „სვეტიცხოველია“ დაბეჭდილი. ეს მინიატიურაა თუ ნაწყვეტი? შენს წიგნებში არ შემხვედრია.***

– მინიატიურაა. ჩუბჩიკა (მხატვარი თენგიზ მირზაშვილი) ერთდროულ გაზეთებს აკეთებდა ხოლმე – ხან წილკანზე, ხან რეზო ინანიშვილზე. სვეტიცხოველზე რომ უშვებდა გაზეთს, რამდენჯერმე დამირეკა და მთხოვა, რამე დამიწერეო. ისეთი კაცია, თუ შემოგიჩნდა, არ მოგასვენებს. მეც დავწერე ეს მინიატიურა. მომეწონა და წიგნში შევიტანე.

***– ჰოდა, რა არის შენთვის სვეტიცხოველი – ტაძარი, ხელოვნების ნიმუში თუ ისტორია? შენ ხომ ამ მინიატიურას ასე ამთავრებ: „უკვე ორიათასი წელია, რაც ეს არის შენი სამშობლო, სწორედ ეს! სხვა არ გახსოვს – მას შემაძრწუნებლად სქელი საბურველი ფარავს“.***

– ალბათ ყველაფერი ერთად არის. სამშობლოა პირველ ყოვლისა, სამშობლოს გულია ჩემთვის. რა თქმა უნდა, ხელოვნების ნიმუშიც არის. და მაინც, შეიძლება თქმა, ამ მინიატიურაში ქრისტიანობაზე უფროა ლაპარაკი. ჩვენი ქრისტიანობამდელი კულტურა ხომ, სამწუხაროდ, თითქმის მთლიანად წაშლილია. არადა, წარმართული კულტურა საბერძნეთში, იტალიაში და ბევრგან როგორ არის შენახული და შემორჩენილი?! ამას წინათ ტელევიზიის რომელიღაც არხზე ერთი არქეოლოგი ჩიოდა, უფლისციხეში, რომელიც წარმართული კულტურის ძეგლია, იმის კვალია, თუ როგორ არის ქვაზე წაშლილი ძველი ქრისტიანობამდელი კულტურის ნიმუშები და ნაშთებიო. ეტყობა, ქრისტიანობა ამ ხერხით ებრძოდა წარმართობას. და მე ვფიქრობ, რომ ეს ბარბაროსობაა, ასე მოქცევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ძალიან ბევრი დაიკარგა. მერე, მთელი ქრისტიანობამდელი და ქრისტიანობის დროის ქართული კულტურა ხომ მიწაშია ჩამარხული. აი, ნახე, ინტენსიური არქეოლოგიური გათხრები რომ დაიწყება, ძალიან ბევრს გამოაჩენს, ძალიან დიდი კულტურა გამოჩნდება. ამაში დარწმუნებული ვარ.

საუბარს უკვე მანქანაში ვაგრძელებთ. დილა კია, მაგრამ უკვე საშინლად ჩამოცხა და ოქროყანის „საჩრდილობლებში“ გადავწყვიტეთ წასვლა – ოქროყანის ქუჩიდან სოფელ ოქროყანაში.

***– ეკლესიური ხარ? რაც უნდა იყოს, ზემოდან მამადავითი დაგყურებს და თავადაც შესანიშნავი მინიატიურა მიუძღვენი ქრისტიანობას.***

– სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, ეკლესიური ვარ-მეთქი. ეკლესიაში როგორ არ შევდივარ, სანთელსაც ვანთებ. თუმცა ათეისტად ვარ გაზრდილი, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი არსებობს. ისე კი, არა მგონია, ეკლესიურობა აუცილებელი იყოს.

***– ძალიან ფილოსოფიურად ამთავრებ მინიატიურას – „ხაშზე“.***

***დილაუთენია ორი კეთილი მეზობელი ერთ-ერთი მათგანის სახლში ხაშს მიირთმევს და თან აუცილებელ ატრიბუტს – არაყს აყოლებს: „აბა, ჩვენ ხალხი ვართ ეხლა? – უმისამართოდ იკითხა ილომ და ამოცარიელებული ჯამი განზე გასწია“.***

***უმისამართოსთან ერთად უაზროც არის და უადგილოც, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ასეთი განწყობილება, ეს ფრაზა არაერთხელ მოგვისმენია სოფლად თუ ქალაქში. რა არის ეს?..***

– რა გითხრა, აბა, მართლა არ ვიცი. ცხოვრება არის ეგეთი. ზოგი ადამიანი როგორ ცხოვრობს, იცი, კი არ ფიქრობს, ისე ცხოვრობს. კი ბატონო, სტკივა, აწუხებს, უხარია, მაგრამ არა ფიქრობს. ფიქრის უნარი ბევრს არა აქვს, ისევე როგორც კითხვის უნარი. ვერ კითხულობს. წიგნებს ვერ კითხულობს. სამწუხაროდ, ძალიან მომრავლდა ასეთი ხალხი. წიგნმა ყადრი დაკარგა, ფასი დაკარგა. ესეც ჩვევაა. ბავშვობიდან უნდა მიეჩვიოს ადამიანი წიგნის კითხვას, რომ ფიქრსაც მიეჩვიოს... თუმცა, იქნებ ვცდები, რადგან ჩვენი წინაპრები მაინცდამაინც არ იკლავდნენ კითხვით თავს, მაგრამ ფიქრი კი შეეძლოთ. არა, ეტყობა, ეს მაინც სხვადასხვა რამეა.

ბუნებაში ვართ, ფრინველების ჭიკჭიკ-გალობას მიაქვს არე-მარე. ნიავი არ ქრის, მაგრამ ქალაქთან რა შედარებაა, მშვენიერი სიგრილეა.

ბუნება კარგია. ხანდახან პურივით მოგშივდება ბუნებაში გასვლა, მით უმეტეს ზაფხულში, გაზაფხულზე, შემოდგომაზე. თუმცა ზამთარსაც თავისი ხიბლი აქვს. სოფელი ხშირად მენატრება. ველარ მივდივარ, კარგა ხანია, აღარ ვყოფილვარ. ამ ავადმყოფობამ ძალიან ჩამომარჩინა.

***– ისე, კარგ ფერზე ხარ.***

– ჰო, არა მიშავს რა. როდესაც ინტენსიურად ვმუშაობ, შინაგანად, სულიერად კარგადა ვარ და ეგ მშველის.

1998 წელია, 54 წლისა ვხდები. ბავშვობიდან მქონდა აკვიატებული, 54-ისა უნდა მოვკვდე-მეთქი. ვატყობ, ვერ ვარ კარგად, ესე იგი, სიკვდილი მიახლოვდება. სულ მინდოდა პურის მოთხრობის მსგავსი რამ დამეწერა. ვიფიქრე, მოდი, ახლა დავწერ, თორემ რომ მოვკვდები, მერე ვინღა დაწერს ამასმეთქი. სამი თვე ვიმუშავე და დავწერე. უცნაური ენერგიის მოზღვავებას ვგრძნობდი, უკვე კარგად ვიყავი, აღარც გული მაწუხებდა, აღარც არაფერი. მერე, „პურის მოთხრობა“ რომ დავბეჭდე, ცუდად გავხდი და ერევანში რომ წავედი შუნტირებაზე, თურმე მესამე ინფარქტი არ ყოფილა მოდარაჯებული?!

***– ხომ ხედავ, ღმერთმა გადაგარჩინა და განგების ძალით, ახლაც არა გიშავს რა, თუმცა ნამეტანს ეწევი, მაგრამ ღვინო დალიო, არა ჯობს?***

– ვიცი, ეს ოხერი საწამლავია, მაგრამ ნარკოტიკივითაა. ღვინოს კი ველარა ვსვამ, თორემ აბა ამას რამე ჯობია?

***– მოდი, ჩვენი საუბარი განვაგრძოთ. მიჭირს დაჯერება, რომ ნუგზარ შატაიძემ ან ნებისმიერმა ნიჭიერმა მწერალმა და არა მოკალმემ, სერიალის სცენარი დაწეროს. რა თქმა უნდა, ამის არც გამოცდილება გექნებოდა...***

– იმ დღეს ვაჟა გიგაშვილი „იმედის“ ტელეარხზე შემხვდა, ისიც აკეთებს რაღაც სერიალს და, მე მგონი, ზუსტად გამოხატა ჩვენი საერთო სათქმელი. აბა, რა ვქნა, ეს თუ არ გავაკეთე და ფული არ ვიშოვე, იმ დროს ვერ ვიყიდი, რომელშიც უნდა ვწერო, რომელიც წერისთვის უნდა გამოვიყენოო. ესე იგი, ეს წერა კი არ არის, ფულის შოვნაა, რომ ამ ფულით დრო იყიდო. რას ნიშნავს დროის ყიდვა. ორ კაპიკს რომ იშოვი და ოჯახს მოახმარ, შენთვის იჯდები და იმუშავებ. აი, ეს არის. იძულებულნი ვართ, ასე მოვიქცეთ. განსაკუთრებით მძიმეა, სიბერეში რომ გიწევს ამის კეთება, დრო რომ აღარ გაქვს.

***– ქალაქში ხმა დადის, ერთმა მსახიობმა სული ამოგხადა, რატომ მომკალი, როგორც გინდა, ისე გამაცოცხლეო...***

– სერიალის პირველ ნაწილში (12 სერია) ჯემალ მონიავას გმირი შემოგვაკვდა. ჯემალი ჩემი მეგობარია და ისე უნდოდა ამ ფილმში მონაწილეობა, სახლში მომივარდა, ეს რა მეგობრობაა, რატომ მომკალი, არაფერი არ ვიცი, უნდა გამაცოცხლოო. რა მექნა, მართლა ხომ ვერ გავაცოცხლებდი, ამიტომ მეორე ნაწილში ჯემალ კაკაურიძის ტყუპისცალის როლი გამოვიგონე.

და არა მარტო ჯემალი. ძალიან ბევრი პირველ ნაწილში „მოკლული“ მოდის ხან ჩემთან, ხან კოტე ჯანდიერთან, ხან რეჟისორთან. ჩვენი რეჟისორი, ზაზა ურუშაძე, ძალიან კარგი ბიჭია, „დინამოს“ ძველი მეკარის, რამაზ ურუშაძის შვილი. ჰოდა, მისულა მასთან ჩვენი შესანიშნავი მსახიობი სოსო ჯაჭვლიანი, რომელსაც შუბლში აქვს ტყვია მოხვედრილი და გამაცოცხლე რა, ძალიან მინდა ამ ფილმში თამაშიო. კი მაგრამ, როგორ გაგაცოცხლო, ტყვია თავში გაქვს მოხვედრილიო. სოსოს უთქვამს, კაცო, სვანებს თავში რომ ხვდებათ, მაშინ კი არ კვდებიან, ფეხში უნდა მოხვდეთო.

***– მერე, გადაურჩა სვანებს?***

– რა ვიცი, ალბათ.

***– მოდი, იქნებ შენს სამზარეულოშიც შეგვაჭვრეტინე, როგორ იქმნება შენი ნოველები, მოთხრობები, მინიატიურები.***

– რეზო ინანიშვილი წერს, ბიჭო, რა კარგია რომანის მწერალი კაციო. ყოველ დილით ადრე დგება, ვარჯიშობს, წვერს იპარსავს, ჯდება და განსაზღვრული რაოდენობის გვერდებს წერს. ასეთი ადამიანი მუდამ რეჟიმშია და ბოლო-ბოლო, სამხედროს ემსგავსება, სამხედრო ნაბიჯებითაც კი დადისო. შაყირობს რეზო. აბა, ჩემისთანა მწერალი, რომელიც მინიატიურებს და მოთხრობებს წერს, ასეთ რეჟიმში როგორ ჩადგება, როცა მომეხასიათება, როდესაც აღარ შემიძლია, რომ არ დავწერო, მაშინ ვწერო. დაახლოებით მეც ეგრე ვარ.

იხ. მე-11 გვ.

◉ ხმა ხალხისა

# გავყიდოთ თუ შევინარჩუნოთ ალექსანდრე ჭავჭავაძისეული წინანდლის უმშვენიერესი მამული?

## მას ვაზისა და ღვინის სახელმწიფო მუზეუმის სტატუსი უნდა მიენიჭოს

(მეხუთე გვერდიდან)

1860-იან წლებში მარანს აღმოსავლეთის მხრიდან მიაშენეს თითქმის იმდენივე, ან ცოტა უფრო მეტი ფართობის სარდაფები ისე, რომ ძველებური არქიტექტურული სახე შეუნარჩუნეს. ჩრდილოეთის მხრიდან გაუკეთდა დიდებული ფასადი, რომლის აივანიც გადმოჰყურებს დეკორატიულ ბაღს და ალაზნის თვალწარმტაც ველს.

„საქართველოს სამარკო ღვინოების შექმნა დაკავშირებულია ა. ჭავჭავაძის, ზ. ჯორჯაძის და გასული საუკუნის სხვა ცნობილი მოღვაწეების სახელთან. საქართველოს მეღვინეებს რომ საკუთარი ღერბი ჰქონოდათ, მასზე უეჭველად წინანდალი იქნებოდა გამოხატული“, – წერდა გამოჩენილი ქართველი მეღვინე-სპეციალისტი, პროფესორი გ. ბერიძე 1965 წელს რუსულ-ფრანგულ ენაზე გამოცემულ ნაშრომში – „Вина и коньяки Грузии“.

პროფესორი დ. ტაბიძე კი ასეთ ცნობას გვაწვდის: „1889-90 წლების კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისა და 1894 წლის ჩიკაგოს საერთაშორისო გამოფენის შემდეგ წინანდალი მეღვინეობის კერად იქნა აღიარებული მთელს აღმოსავლეთში, იგი არანაკლებ ცნობილია ბორდოსა და შამპანზე. მსოფლიო დიდება მას ადგილობრივი ქართული ვაზის ჯიშებმა რქაწითელმა და საფერავმა მოუპოვეს“.

1962 წელს საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის მსოფლიო კონგრესი გაიმართა. ამ კონგრესზე საფრანგეთიდან ჩამოსული ყურძნისა და ღვინის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტი ბარონი პიერ ლე რუა კონგრესის მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად წინანდალს ეწვია. როცა ცნობილმა ხანდაზმულმა ფრანგმა მოღვაწემ ამ სოფლის ზღვასავით გაშლილი ზვრები, ჭავჭავაძისეული მიწისქვეშა სარდაფები და მეღვინეობის წარმოების აღჭურვილობები იხილა, აღფრთოვანებით წარმოსთქვა: „აი, თურმე სად ყოფილა ვაზისა და ღვინის საუფლო. ნუ, ნუ დამძრახავთ მოხუცს, თუ ვიტყვი, რომ წინანდალი ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ულამაზესი და უბრწყინვალესი მარგალიტია“.



წინანდლის ღვინის ქარხნის ჩრდილოეთის ფასადზე.

ყოველივე ეს ზღვაში წვეთია იმ უამრავი პათეტიური ღაღადისა თუ მეცნიერული დასკვნებისა, რომლებიც აშკარად მიგვანიშნებენ, რომ მარტო წინანდლის ღვინის ქარხანა კი არა, ჭავჭავაძეთა მთელი ნაფუძარი ისტორიული ძეგლია ქართული კულტურული ცხოვრებისა, მისი ყოფიერებისა, უძვირფასესი განძია, რასაც მოვლა, პატრონობა, შენარჩუნება, ადამიანური სული, სიყვარული, თვალისჩინივით გაფრთხილება ესაჭიროება.

დიდი ილია გვმოძღვრავდა: „ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს – სულისათვის“.

სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ ჩვენს დროში ადამიანები, რომლებსაც დაჰკარგვიათ ამის შეგრძნება, გასწყვეტიათ ის ძარღვი, „საზრდო რომ მოაქვს სულისათვის“ და შემორჩენიათ მხოლოდ სტომაქის ამოყორვის ინსტინქტი.

წინა ხელისუფლების რბილ სავარძლებში ფეხმორთხმულმა ზოგიერთმა „ყოვლის შემძლე“ ბოსმა ჯეროვნად ვერ შეიგრძნო, ვერ გაიგო ახალი საბაზრო ეკონომიკის არსი. და აი, 1995 წელს, მათი უშუალო ხელდასხმით, წინანდლის ღვინის ქარხანა კიტრის ფასად გაიყიდა! ამან ნორმალურად მოაზროვნე ადამიანების არა მარტო განცვიფრება, სასტიკი პროტესტიც გამოიწვია. მყიდველები ტყავში ძვრებოდნენ, რათა დაემტკიცებინათ, რომ ღვინის ქარხანა არავითარ ისტორიულ ძეგლს არ წარმოადგენს და მისი ფულად ქცევა კანონიერი იყო.

მართლმსაჯულებამ დაარღვია უკანონო ნასყიდობა. ქარხანა შპს-დ მოინათლა. მას „საქართველოს ღვინის საგანძური“ ეწოდა.

მაგრამ ვაი, ასეთ ნათლობას. 1996 წლიდან ქარხანა არ დაფინანსებულა. პირიქით, ადგილზე გაყინულ, შეწყვეტილ წარმოებას სამი მილიონი ლარი დაერიცხა საურავის სახით. უმუშევრად დარჩა მუშა-მოსამსახურეთა დიდი კოლექტივი.

ახლახან წინანდლის საკრებულომ იმსჯელა შექმნილი ვითარების ირგვლით და შეიმუშავა, დასახა საჭირო, კონკრეტული ღონისძიებები. ამ ღონისძიებებიდან მოვიტან მხოლოდ ერთს:

წინანდლის საკრებულო სთხოვს ჩვენს ხელისუფლებას, ჭავჭავაძეთა ნაფუძარს, რომლის ტერიტორიაზეც განთავსებულია საქვეყნოდ სახელგანთქმული ღვინის ქარხანა, ულამაზესი დეკორატიული ბაღი, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, საქართველოს სამთავრობო რეზიდენცია თავისი სასტუმროებითა და დამხმარე ნაგებობებით, რომლებიც ჰქმნიან ერთ უნიკალურ, ისტორიულ კომპლექსს, მიენიჭოს ვაზისა და ღვინის სახელმწიფო მუზეუმის სტატუსი. დაფინანსდეს არა მხოლოდ, როგორც მუზეუმი, არამედ როგორც ყურძნისა და ღვინის დამამზადებელი საწარმოც ისეთივე უფლებებით, როგორც სხვა ღვინის ქარხნები.

თუ ხელისუფლება სოფლის საკრებულოს ამ მოთხოვნებს შეასრულებს, ერთი მხრივ, ჩვენს სამშობლოს ღია ცის ქვეშ მოქმედი ვაზისა და ღვინის უნიკალური, ულამაზესი მუზეუმი შეემატება, რაც კიდევ უფრო განადიდებს მის სახელს, ხოლო, მეორე მხრივ, გაიღვიძებს, ამოქმედდება ისეთი გიგანტური ღვინის საწარმოები, როგორიც წინანდლისა და თელიანის ღვინის ქარხნებია.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ კახეთის მხარის ხელმძღვანელობა და თელავის რაიონის საკრებულო, როგორც ყოველთვის, ახლაც თავის ავტორიტეტულ ხმასა და ზრუნვას არ მოაკლებენ წინანდლელ მშრომელთა თხოვნას და მას ხორცი შეესხმება.

ეს ხალხის ხმაა, ხალხის მოთხოვნაა.

ღმერთო, გადმოჰხედე ამ ქვეყანას!

**გიორგი ბოგველიშვილი,**
**წინანდლის საპატიო მოქალაქე.**

◉ სამართალი

# ას დოლარად გაყიდული სინდისი

**„ამ წერილში მოთხრობილი ამბავი წინასწარ შემუშავებული სცენარით წარიმართა, რომელსაც ერთდროულად ოთხი თანაავტორი ჰყავდა. განხორციელების შემდეგ, მათივე გაანგარიშებით, „ჰონორარის“ სახით სოლიდური ანაზღაურება უნდა მიეღოთ. არც შემცდარან. შეცდნენ მხოლოდ ისინი, ვინც მთელ ამ „სპექტაკლში“ მონაწილეობის სურვილი საკუთარი ნებით გამოთქვა, რაც შემდეგ მათ მწარედაც ინანეს, მაგრამ“...**

**ეს ამონარიდი იმ წერილიდანაა, რომელიც ჩვენს გაზეთში შარშან, 13 მაისს დაიბეჭდა სათაურით „დაზარალებული“ გადაგდებულები, მოგებული „გადამგდებები“ და ვითომ მათი ხელშემწყობნი“.**

**წერილში ლაპარაკი იყო თაღლით ქალთა იმ „შესანიშნავ ოთხეულზე“, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა, სულისჩამდგმელი და „რეჟისორი“, სამწუხაროდ, სახელმწიფო მოხელე გახლდათ.**

ამ ოთხეულმა თავის დროზე, მრავალი ადამიანი დატოვა პირში ჩალაგამოვლებული. ალიანსში შემავალმა ქალბატონებმა მაია ჭავჭანიძემ, ლამარა წულუკიძემ და თინა ტყემალაძემ ნოტარიუს მანანა ბოკუჩავას მეშვეობით და ხელშეწყობით შეძლეს თავიანთი ავი ზრახვების განხორციელება და ათობით თბილისელის მშრალზე დასმა. მათ მიერ მითვისებულმა თანხამ კი არც მეტი, არც ნაკლები 36 ათასი დოლარი შეადგინა. ყოველივე ერთ-ერთი დაზარალებულის ლუიზა ბედიანაშვილის განცხადებით შევიტყვეთ. მას მაია ჭავჭანიძისთვის 2500 დოლარი უსესხებია, რომელსაც ამის სანაცვლოდ (იმ შემთხვევაში, თუ თანხას ვერ დაუბრუნებდა) იპოთეკის წესით ვაჟა-ფშაველას № 59-ში მდებარე სამოთახიანი სხვისი ბინა ჩაუდია, რაც თავის მხრივ ნოტარიუს მანანა ბოკუჩავას ხელმოწერითა და ბეჭდით ოფიციალურად „დაუდასტურებია“.

შემდეგ სწორედ ეს ბინა იქცა მათთვის თაღლითური გზით, უშრომელი ფულის შოვნის ერთგვარ დაუშრეტელ წყაროდ, რომელიც მართლაც რომ, საბედისწერო გამოდგა ამ „რისკიანი“ ქალბატონებისთვის.

ამას წინათ, ქალაქ თბილისის პროკურორის პირველი მოადგილის ჯ. ჯანელიძის მიერ დამტკიცებული საბრალდებო დასკვნისა და ბრალდებულთა სამართალში მიცემის შესახებ დადგენილების საფუძველზე, ეს სისხლის სამართლის საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (თ. ტაბატაძის თავმჯდომარეობით) განიხილა. სახელმწიფო ბრალმდებლად კი გურამ სვანიძე გამოდიოდა.

პროკურატურის თანამშრომელთა დაუღალავი შრომის შედეგად, ძიების პროცესში თაღლითთა ამ ჯგუფს ახალ-ახალი სახეები შეემატება. როგორც დაზარალებულთა, ისე დამზარალებელთა მხრიდან.

პროცესზე ამ „შემოქმედებითი“ ჯგუფის წევრებიდან მხოლოდ მანანა ბოკუჩავა, მისი სეხნია დათუნიშვილი და ციალა დარჩიაშვილი წარსდგნენ (დანარჩენები იმალებიან).

საბოლოო განაჩენი საკმაოდ წონადი გამოვიდა. სასამართლომ მანანა ბოკუჩავას ბრალი დასდო თაღლითობაში, ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად სხვისი ქონების მითვისების მცდელობასა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში. ამ ბრალდებებთან ერთად მანანა დათუნიშვილი ყალბი პირადობის მოწმობის დამზადებასა და გამოყენებაშიც ამხილეს.

მანანა ბოკუჩავა, როგორც სახელმწიფო მოხელე, თავისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მოქალაქეთა ნდობას ადვილად მოიპოვებდა და დამნაშავე ჯგუფთან ერთად, გულუბრყვილო ადამიანებისგან „ინვესტიციებსაც“ ასევე ადვილად იზიდავდა, რასაც შემდეგ იყოფდნენ. ფულის არაკეთილსინდისიერი გზით შოვნის სურვილით შეპყრობილი ნ. ბოკუჩავა არც საკუთარი ბინის იპოთეკის დატვირთვას მორიდებია. მან ამ გზით ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე ბინის ეშხით მრავალი პირი „გააცურა“. საერთო ანგარიშით, თანამზრახველებთან ერთად მათ მიერ გამოძალულმა თანხამ ეროვნულ ვალუტაში (ისინი მათგან ყოველთვის დოლარებს იღებდნენ) 126 380 ლარი შეადგინა. მას ამ საქმეში საგრძნობლად ჩამორჩა მანანა დათუნიშვილი, რომელმაც კლიენტთა მოტყუებით სულ „რაღაც“ 48 ათასი ლარი მიითვისა. მათ ფონზე საკმაოდ უხერხულად და უსუსურად გამოიყურება ციალა დარჩიაშვილი, რომელსაც უბრალო, ეპიზოდური როლი ხვდა წილად. იგი მთელ ამ სპექტაკლში „მთავარი“ რეჟისორის თანაშემწეების მ. ჭავჭავანიძის და მ. დათუნიშვილის მიერ დამზადებული ყალბი პირადობის მოწმობით ვინმე ციალა ჩხეტიას როლს „ასრულებდა“. (საბუთში მხოლოდ მისი სურათი იყო ჩაკრული). ამ გზით მათ სესხის სახით მისაღები თანხის სანაცვლოდ თაღლითური გზით მისი ბინაც გაასხვისეს, ისე რომ, თავად ჩხეტიამ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

ეს მორიგი ოპერაცია მათ 2000 წლის 26 იანვარს განახორციელეს. ს. დარჩიაშვილმა ც. ჩხეტიას სახელით სანოტარო და ტექაღრიცხვის ბიუროებში ყველა დოკუმენტს ხელი თავად მოაწერა და მ. ჭავჭანიძისა და მ. დათუნიშვილის მითითებით მოქალაქე ს. კ-ს 6 ათას დოლარად „გაუფორმა“ ც. ჩხეტიას ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რის გასამრჯელოდაც ასისტენტებმა დაკისრებული როლის უზადო შესრულებისთვის მას ჰონორარის სახით მხოლოდ 100 დოლარი გამოუყვეს.

სასამართლომ მთელ ამ საქმეში მთავარი მოქმედი პირის ნ. ბოკუჩავას „ღვაწლი“ 7 წლით შეაფასა, ხოლო



მისი სეხნიისა და თანამეინახის დამსახურება 6 წლით. შესაბამისად, მათვე დაეკისრათ 34.390 და 15.640 დოლარის ლარებში გადახდა დაზარალებულთა სასარგებლოდ.

რაც შეეხება თავად ეპიზოდური როლის შემსრულებელ ციალა დარჩიაშვილს, მას მოსამართლემ 5 წლით აღუკვეთა თავისუფლება, შემდეგ კი ეს სასჯელი პირობითად 3 წლის გამოსაცდელი ვადით შეუცვალა.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

⊙ პოეზია უპირველეს ყოვლისა



ბათუ დანელია

## სურათი ზემო სართულიდან

ქუჩა, მაღლი, გოგო —
მზერის სამი ჟინი.
მაღლს სახელად — როკო.
გოგოს ჰქვია ნინი.
ნინი როკოს ღვედით
ასეირნებს — ლაღობს.
შორს — ქათქათა ქედი,
ცა — საბაირაღო.
მე ვდგავარ და ვუმზერ:
მაღლი გოგოს მისდევს,
ამ დროს მოდის მუზა:
— გამარჯობათ, მისტერ! —
მესალმება დაღლილს,
ვუსმენ შუქის კოკორს:
— შენ იყავი მაღლი,
მე ვიქნები გოგო! —
ვეკითხები: — როგორ? —
ის კი, თვალებს ხუჭავს...
მირს — მაღლი და გოგო
მიჰყვებიან ქუჩას.

## წვიმა რუსთაველის პროსპექტზე

წვიმასთან გავლა მე ხშირად მიწევს —
კარგა ხანია, მეგობრად ვთვლი მას...
როგორც რუსთველის პროსპექტზე, ისე
ცისქვეშ აღარსად სეირნობს წვიმა.

აღარ იბრალებს ღრუბლების ბოლქვებს
და აქვითინებს ყველას დროებით...
იგუმბათებენ ქალები ქოლგებს,
მე კი მომწონან უქოლგოები...

და, როგორც ბორცვზე ბავშვები, ციგით,
ურიცხვი წვეთი ქოლგებზე გორავს —
ეს მინდა ვნახო ამ ქვეყნის იქით,
ვარსკვლავებს იქით და უფრო შორად!

## დეკემბრის დღე

N-ს

მოღრუბლული ცა მოურთავთ ყვავებს.
მოგონებანი მემგერნენ ხროვად...
კვამლია... სადღაც ნემოებს წვავენ
და მეჩვენება, ჩავლილი დრო ვარ —
ამხედრებული ხსოვნათა ცხენზე,
მაგრამ, უეცრად, დაიწყო თოვა
და მეც დავიწყე ფიქრები შენზე.

თოვლმა კი, როგორც საამო ნაცნობს.
მომიმღვნა უხმო, ქათქათა ვალსი...
თოვაში მარტოდ მავალმა კაცმა
უთუოდ უნდა იფიქროს ქალზე,
მით უფრო მასზე, რომელიც უყვარს,
რომელსაც სადმე შეხვდება ხვალ-ზეგ
და ვნების ვარდებს მიუმღვნის უხვად.

## მთვარეში

მორის ფოცხიშვილის ხსოვნას

არ გაქრებაო ის, ვინაც სხვათა
არგაქრობაზე ფიქრობს ყოველთვის.
მე დროს ტკივილსაც არასდროს ვატან,
დროც ბინადარი ხდება პოეტის... —
დარღვეული ვარ დროთა თარეშით.
დარღვეულს გულში ჩამიკრავს ცა და
გასამრთელებლად შევალ მთვარეში.

მთვარეში შესვლა უნდებათ ატმებს,
აუვავილება უჭირთ როდესაც...
ჩვენც, სიკვდილამდე, წავიდეთ სადმე,
გაქრობისა და კვდომის პროტესტად!
იქნებ, მომველდა, უკვე სიკვდილიც!
იქნებ, სიკვდილმაც გზა უნდა დათმოს,
მოდიდან გასულ, მვირფას ნივთივით!

## სიყვარულის ტრაექტორია

მე წუხელ სიზმრად,
შენ დაგიმახე,
ჩემი ხმა, ცხადში,
წავიდა შენკენ,
გადაუარა მაღალ სახლებს,
გადაუარა მთელ თბილისს,
გადაუარა
მთელ საქართველოს,
გადაუარა მსოფლიოს,
გადაუარა სამყაროს,
მაგრამ ბოლოს
მაინც თბილისში,
შენს ფანჯარასთან ჩამოვარდა,
როგორც ხოხობი...

## გვალვა და სიყვარული

სუნთქვა ჭირს და ფოთ-
ლებიც კი არ უტოკავთ სანახევროდ მკვდარ ხეებს.
მარტოოდენ
ოცნებები ირხევიან და ჩვენც ოდნავ გვარხევენ...

დნება ქუჩა, იწვის
ბაღი, ხსნას ამაოდ თხოვენ ზეცის კაბადონს...
ვერ უშველა
მარაომ და ქალაქს უნდა, ვინმემ ტანზე გახადოს.

მწუურვალ ჩიტებს იხვეჭს
მტკვარი, ქვასაც ნახავ, სიცხისაგან, გაგუდულს.
ისე ხარშავს სიცხე
ქალაქს, თითქოს ქვაბი მთელ ჯოჯოხეთს აქ უდუღს.

და ივლისის ასეთ
ხვატში, ასეთ ბუღში, ასეთ უღვთო გვალვაში,
ცხელ ასფალტზე,
სიყვარულით ჩახვეული, დგას და ტკბება ქალ-ვაჟი.

⊙ დაფასება

# შემოქმედის აღიარება



ჩვენო ძვირფასო რეზო!

მშობლიური ქართული მწერლობის ყველა ღირსეული მოღვაწე დიდად აფასებს შენს შემოქმედებით შრომას და ამაგს საგამომცემლო საქმეში. მრავალი პროზაული ნაწარმოები შესანიშნავად თარგმნე და მიაწოდე მკითხველს.

მხატვრული ლიტერატურის ბრწყინვალე რედაქტორი იყავი და ხარ, ქართული ლიტერატურის მრავალი თაობის ერთგული მოამაგე და თავდადებული მსახური. ბოლო წლებში აქტიურად მონაწილეობდი ჩვენს მუშაობაში, როგორც ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის წევრი.

შენს საიუბილეო დღეებში დაგაჯილდოვეთ შენი საყვარელი მწერლის — **გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიით.**

შენი კოლეგები სულით და გულით გილოცავენ ამ ძვირფას ლიტერატურულ ჯილდოს, გისურვებენ დიდი ხნის ჯანიერ სიცოცხლეს და თქვენი ლამაზი ოჯახის ბედნიერებას.

მადლობა შენ რაინდული გარჯისა და კეთილი გულისათვის.

**ხუტა ბერულავა,**
**ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარე.**

⊙ სტუმარი

# მარწყვიკრეფია ბიჭის ნაამბობი დიდობაში

(მეცხრე გვერდიდან)

შარშან გუჯა ბერიშვილი, კოტე ჯანდიერი და მე ევროპაში ვმოგზაურობდით და მოგზაურის ჩანაწერების მსგავს რაღაცას ვწერ. ამ შემთხვევაში მთავარი რა მგონია, იცი, უცხოეთიდან როგორ ჩანს შენი ქვეყანა. იქიდან მკაფიოდ ჩანს შენი ცუდი და კარგი მხარე. აი, ამისთვის გამოვიყენე ეს ფორმა, რომ რაღაცნაირად, ჩემი თავისთვისაც და მკითხველისთვისაც მეჩვენებინა, რანი ვართ. არ ვიცი, აქედან რა გამოვა, უკვე ორმოცდაათი გვერდი დაწერილი მაქვს.

***— პრესაში აპირებ დაბეჭდვას თუ ახალი წიგნისთვის შეინახავ?***

— არ ვიცი, ჯერ დავწერო, იქნებ არც არაფერი გამოვიდეს. ეგრეა, ხან ვწერ, ვწერ, მგონია რომ მომწონს, მერე აღმოჩნდება, რომ არაფერიც არ ყოფილა და გადაყრი. უამრავი ნამუშევარი მაქვს ასე გადაყრილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ახლა ვნანობ. მერე კიდევ, თბილისის ომის დროს თავისუფლების მოედანზე ხომ სახლი დაგვეწვა. დაიფერფლა უამრავი მასალა, მთელი არქივი. ყოველთვის მენანება, ახლა ძალიან გამომადგებოდა ის ფრაგმენტები, ჩანაწერები.

***— აკეთებ ჩანაწერებს?***

— ძალიან იშვიათად, ესეც ჩვევაა, რომელსაც გამომუშავება სჭირდება. მაგალითად, ახალგაზრდა მწერლებს სულ ვეუბნები, მე არ შემიძლია, მაგრამ შენ ყოველთვის უნდა ეცადო, ჩანაწერები გააკეთო-მეთქი. იმიტომ, რომ ბევრი რამ გავიწყდება კაცს. ისეთი ფასეულია ის ჩანაწერები, რომ გადახედავ, მაშინდელი დრო და სურნელი მოდის, გახსენდება. ამიტომაცაა ასე ძვირფასი.

***— ნოდარ დუმბაძემ თავისი ბიოგრაფია მთლიანად გადაიტანა შემოქმედებაში. პროტოტიპებიც მისი მეზობელ-ახლობლები იყვნენ. შენც ბევრი ასეთი გმირი გყავს...***

— ჰო, ალბათ, ჩემთანაც ეგრეა, მაგრამ ასეთი დოზით არა.

***— შენს მოთხრობებში ერთი და იგივე ტიპაჟი რამდენჯერმე მეორდება. გასაგებია, რომ ფოტოგრაფიული მსგავსება არ იქნება, მაგრამ ნამდვილად თუ არსებობენ ისინი?***

— ძირითადად, კრებითი სახეებია. ხშირად ჩემს რამდენიმე ნაცნობს ჰგავს ესა თუ ის გმირი. არ შეიძლება, მხოლოდ ერთ კაცს ჰგავდეს. სოფელში ერთი მეზობელი მყავს რეზო, მეტსახელად ბაწაწკას ეძახიან. მეც მომწონდა ეს სახელი და ხშირად ვიყენებდი მოთხრობებში. არადა, იმ კაცზე კი არ იყო, უბრალოდ იმისი სახელი ერქვა. სულ მეჩხუბებოდა. რომ ჩავიდოდი, სულ მიბღვერდა, არ მოსწონდა, მის მეტსახელს რომ ვიყენებდი.

გუდამაყარში ვიყავი გადაღებაზე. ხშირად იშლებოდა სუფრები, სადაც გოდერძი ჩოხელის მეზობლებიც იკრიბებოდნენ. ჰოდა, აგინებდნენ ამ ჩვენს გოდერძას, ჩვენზე წერს და სულელი ხომ არ არისო. კაცო, მერე ცუდს ხომ არაფერს წერს, რა გინდათ, რას ერჩით-მეთქი. ქართლში და მთაში არ უყვართ, დასავლეთში კი — პირიქით.

გუშინწინ ტელევიზიით საფრანგეთში მცხოვრები ქართველი რეჟისორის ნინო კირთაძის ფილმი აჩვენეს — მგონი, ასე ერქვა: „უთხარით ჩემს მეგობრებს, რომ მკვდარი ვარ“. ეთნოგრაფიული ფილმია, სადაც მეგრელების გასვენების პროცესია თავიდან ბოლომდეა ნაჩვენები. გაგიჟდები, ისეთი თავზარდამცემი და შთამბეჭდავი ფილმია. ფილმს ცნობილი ფრანგი ოპერატორი იღებდა, სამწუხაროდ, მისი გვარი აღარ მახსოვს, და მას უთქვამს ჭირისუფლებისთვის, თუ ნებას დამრთავთ, გადავიღებ, ოღონდ კამერაში ნურავინ ჩაიხედავსო. ქართლში ან კახეთში ამაზე კეტებით გამოუდგებოდნენ, იქიდან გაყრიდნენ. საათნახევრიანი ფილმი იყო და მართლაც ერთხელაც არავის ჩაუხედავს კამერაში.

თუმცა, ერთი ნოსტელი კაცის, გუდამგელის სახელიც რამდენჯერმე გამოვიყენე. ბავშვებს მიუტანიათ და წაუკითხინებიათ მისთვის, აი, შენზე წერიაო. რომ ჩაველი, ცხვარი დაკლა და დამპატიჟა. მაგრამ ასეთი ხალხი, სამწუხაროდ, იშვიათად შეგხვდება.

***— ამ ცოტა ხნის წინათ პენ-მარათონიდან დაბრუნდი. მე მგონი, ეს შენთვის მეორე მარათონი იყო.***

— ჰო, შარშან მეორე ადგილი ავიღე და წელს ავტომატურად მოვხვდი სიაში, დამირეკეს და ძალიან მთხოვეს, თორემ არ მინდოდა წასვლა.

***— ასეთ მარათონებში იზრდება მწერალი, რაიმე ემატება თუ არა?***

— არა, ეს ერთგვარი შოუა. ამის მომწყობების მიმართ არავითარი აუგის თქმა არ მინდა, ან რატომ უნდა ვთქვა, მაგრამ ეს მწერლობას არაფერში ადგება.

***— მე პირადად, ასეთი მარათონებისა და კონკურსების არაფერი მწამს. ის კი არა, ამ რამდენიმე წლის წინათ გინესის რეკორდების წიგნში მოსახვედრადაც კი დაწერა ვიღაცამ რომანი, თუ არ ვცდები, 24 საათში...***

— რა თქმა უნდა, ეს მწერლობა არ არის. ექსტრემალურ პირობებს გიქმნიან, რომ ვერ დაწერო და ძალიან სასაცილო თუ სატირალ ფრაზას გეუბნებიან, რაზეც მოთხრობა უნდა ააგო. აი, მაგალითად, „მე სახლი მინდა, რომ იქიდან გავიქცე სადმე, ერთიც მაგიდა, არაფერი რომ აღარ ვწერო“. მიდი ეხლა და დაწერე მოთხრობა. დავიბენი. მოდერნისტულ ნაწარმოებებს თხოულობენ. მე არა ვარ მოდერნისტი მწერალი. რა მექნა. ბევრი ვიფიქრე და უცებ მშვენიერი ამბავი მოვიგონე. რა გამოვიდა, ვინ იცის. ისე, ძალიან ღია და გამჭვირვალე კონკურსია. ყველა ტექსტი კომპიუტერშია შეყვანილი და მე ყველაფერი წაკითხული მაქვს.

***— ჩვეულებრივ კონკურსებში კი, ალბათ, უფრო სახალისოა მონაწილეობა. ერთ-ერთ მათგანში, რომელსაც, თუ არ ვცდები, „ლუარსაბ თათქარიძე“ ერქვა, შარშან გაიმარჯვე კიდეც.***

— ჰო, მაგრამ ერთ რამეში დავრწმუნდი, რომ ეს დიდ შედეგს არ იძლევა. იცი, ლიტერატურული კონკურსი როგორ უნდა ჩატარდეს? უკვე გამოქვეყნებული ნაწარმოებები უნდა შეირჩეს. აი, ეს იქნება სერიოზული კონკურსი. როდესაც შენ რაღაცას დაასრულებ, დაბეჭდავ კიდეც, უკვე ესა ხარ შენ, ეს არის შენი ნაწარმოები და არა ის, გემზე, რომ წერ ან თუნდაც „ლუარსაბ თათქარიძე“.

***— „ქართული მწერლობა“ დაიხურა, „ლიტერატურულ საქართველოსაც“ უდგას დახურვის საშიშროება. ესე იგი, ფაქტობრივად, მწერლებს გაზეთი არ დაგრჩათ. რამდენად ნორმალურია ეს, რა უნდა ქნას მწერალმა, მაგალითად, შენ სად უნდა გამოაქვეყნო შენი მოთხრობები?***

— მართალი ხარ, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც არ არის ორგანო, სადაც ნაწარმოებებს გამოაქვეყნებ, უკვე მისი დაწერის სტიმულიც გიქრება. ამას წინათ ერთი პროზაიკოსი შემხვდა, იუმორის გრძნობა კარგად აქვს განვითარებული. მომილოცეო, მითხრა. რა-მეთქი. მაგის დედაც ვატირე, წერას თავი დავანებეო. ეს ისე ალალად თქვა, რომ მივხვდი, მართალს ამბობდა. აბა, რა ვქნა, ვწერდი და კომბლესავით ჭერში ვაწყობდიო. სხვათა შორის, ძალიან ბევრმა დაანება წერას თავი.

ის პროზაიკოსი არ მყავს მხედველობაში, მაგრამ ბევრი იმიტომ წერდა, რომ მწერლის სახელი დაეგდო. იმიტომ გაიბერა მწერალთა კავშირი, 500 წევრი ჰყავდა.

მაგრამ როგორც კი ჰონორარი გაქრა, ბინას, ურიგო მანქანას, იტალიურ მაკინტოშსა თუ ჩეხურ ლუდს არავინ გაძლევს (ხომ გახსოვს, ძველად როგორ იყო), მორჩა, დამთავრდა, რატომღა უნდა წეროს. მაგრამ ნამდვილი მწერლებიც ხომ არიან, რომელთაც ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ, რომ არ დაწერონ. მათ რა ქნან. ეს ხომ საშინელებაა, რომ მწერლებს გაზეთი არა აქვთ. ალბათ მთავრობამ და ხელისუფლებამ ამაზეც უნდა იფიქროს.

**... ახლა ცოტა დავისვენოთო, ჰაერმა დაგვაბრუა და მოგვაშია. საგზალი წაღებული გვქონდა და წავიხემსეთ, თუმცა სადილის დრო დამდგარიყო. ბევრი ვილაპარაკეთ, აქეთური, იქეთური. მერე ისევ მანქანაში ჩავსხედით და თბილისის ხვატში ჩამოვედით. ახლა ცოტას წავუძინებ და დღეს აღარ ვიმუშავებ, ბევრი მომივაო.**

**აი, ასე გავატარე ერთი ლამაზი დღე მშვენიერი მწერლის ნუგზარ შატაიძის გარემოცვაში.**

დავით ჭელიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№156 (93) [illegible], 11 [illegible] 2004 წელი.




# საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლისა, ვაქვეყნებთ ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის მიერ მომწოდებელთან 2004 წლის 8 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით გაფორმებულ ხელშეკრულებებს:

| № ხელშეკრულების № და გაფორმების თარიღი | პროდუქციის დასახელება | საერთო ღირებულება ლარებში |
|---|---|---|
| 1. № 01/84 08.06. 2004 წ. | საქონლის ხორცი | 28 000 |
| 2. № 01/88 10.06. 2004 წ. | კვების პროდუქტები | 26 600 |
| 3. № 01/89 10.06.2004 წ. | „სორკო“ | 25 200 |
| 4. № 01/92 11.06. 2004 წ. | საქონლის ხორცი | 28 000 |
| 5. № 01/95 14.06.2004 წ. | კვების პროდუქტები | 85 840 |
| 6. № 03/15 15.06. 2004 წ. | სანივთე ქონება | 147 596 |
| 7. № 01/99 23.06.2004 წ. | I და II ხარისხის პური | 50 806 |
| 8. № 01/102 25.06.2004 წ. | I და II ხარისხის პური | 25 920 |
| 9. № 01/104 30.06.2004 წ. | კვების პროდუქტები | 56 900 |
| 10. № 01/105 30.06.2004 წ. | I და II ხარისხის პური | 25 115. |

## განცხადება

**2004 წლის №3/21308.07 გორის რაიონული სასამართლოს განჩინების საფუძველზე შეჩერებულია გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე არჩევის კონკურსი.**

**გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გ. ხელაია**

**რექტორის არჩევნების საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე ზ. ტიელიძე.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა № 41, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს ადგილობრივი სასურსათო ხარისხიანი ხორბლის წარმოებისა და მისი ქვეყნის შიდა ბაზარზე რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი მომსახურების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ადგილობრივი ხორბლის მწარმოებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

მომსახურება ითვალისწინებს ადგილობრივი ხორბლის მწარმოებელი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სასურსათო ხარისხიანი ხორბლის ქვეყნის შიდა ბაზარზე მომუშავე მარცვალგადამამუშავებელ საწარმოებზე რეალიზაციას. თითოეული კილოგრამი ხორბლის გაყიდვისათვის ტენდერში გამარჯვებული მიიღებს თანხას 5 თეთრის ოდენობით (დამატებით).

შესყიდვა განხორციელდება 100 ლოტად, რომელიც რეგიონების მიხედვით დაიყოფა შემდეგნაირად:

კახეთის რეგიონი – 47 ლოტი;
ქვემო ქართლის რეგიონი – 23 ლოტი;
შიდა ქართლის რეგიონი – 20 ლოტი;
მცხეთა-მთიანეთის რეგიონი – 6 ლოტი;
სამცხე-ჯავახეთის რეგიონი – 4 ლოტი;

ერთი ლოტი ითვალისწინებს 100 ტონა ხარისხიანი ხორბლის რეალიზაციას.

ლოტის ფორმირების მიზნით დასაშვებია ხორბლის მწარმოებელთა გაერთიანება.

2. ტენდერში გამარჯვებულმა ხორბლის რეალიზაცია უნდა განახორციელოს 2004 წლის 15 ნოემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2004 წლის 27 ივლისის 10 საათიდან 4 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა № 41, ოთახი 434. ტელ: 99-93-48 (ი. ბიბილეიშვილი, ვ. კიკვიძე)

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირებისთვის:**

ა) ცნობა, შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა, რომ, მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (გაცემული საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

გ) ცნობა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილე პირი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) ცნობა, შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ე) ცნობა, მიწის ფართობის შესახებ (საკუთრება ან იჯარა) დამოწმებული მიწის მართვის რაიონული სამსახურის მიერ.

ვ) ცნობა, გაცემული სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს მიერ, რომ ხორბალი წარმოებულია მის კუთვნილ (იჯარით აღებულ) ნაკვეთზე.

ზ) მარცვალგადამამუშავებელ საწარმოებთან (სუბ-კონტრაქტორებთან) დადებული განზრახვათა შესახებ ხელშეკრულების ასლი, რომლითაც მარცვალგადამამუშავებელი საწარმოები ტენდერში მონაწილე პირის გამარჯვების შემთხვევაში აიღებენ ხორბლის შესყიდვის ვალდებულებას;

თ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

**4.2. ფიზიკური პირებისთვის:**

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა.

ბ) ცნობა, შინაგან საქმთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილე პირი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

გ) ცნობა, მიწის ფართობის შესახებ (საკუთრება ან იჯარა) დამოწმებული მიწის მართვის რაიონული სამსახურის მიერ.

დ) ცნობა, გაცემული სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს მიერ, რომ ხორბალი წარმოებულია მის კუთვნილ (იჯარით აღებულ) ნაკვეთზე.

ე) მარცვალგადამამუშავებელ საწარმოებთან (სუბ-კონტრაქტორებთან) დადებული განზრახვათა შესახებ ხელშეკრულების ასლი, რომლითაც მარცვალგადამამუშავებელი საწარმოები ტენდერში მონაწილე პირის გამარჯვების შემთხვევაში აიღებენ ხორბლის შესყიდვის ვალდებულებას;

ე) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

5. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან.

6. ტენდერში მონაწილე პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად და დაიშვება შემდგომი მონაწილეობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მე-3 პუნქტში აღნიშნულ ვადებში წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და სწორ ინფორმაციას (2 ეგზემპლარად).

7. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის სატენდერო მოსაკრებლის სატენდერო კომისიის მიერ დასახელებულ საბანკო ანგარიშზე გადახდის შემდეგ შეეძლებათ არაუგვიანეს 2004 წლის 26 აგვისტოს 18 საათისა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა № 41, ოთახი 434, ტელ: 99-93-48.

8. ტენდერში მონაწილე პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ერთ ან რამდენიმე ლოტში.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს ერთ ლოტზე ერთი გამარჯვებული.

10. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი სატენდერო წინადადება.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა № 41, ოთახი 434, ტელ: 99-93-48.

**სატენდერო კომისია.**

ზაფხულის პაპანაქებაში

# კრემიანი ნამცხვარი საშიშია!

(მეოთხე გვერდიდან)

***– ვთქვათ, მყიდველმა იცის, სად იყიდა ნამცხვარი, რომელმაც აწყინა. შემდეგ მიმართა სათანადო სამსახურს, ანუ სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციას, რომელიც ადგილზე შესამოწმებლად მივიდა, მაგრამ რეალიზატორი უარს აცხადებს უხარისხო ნაცხვრის გაყიდვაზე, მყიდველს კი პროდუქციის ყიდვის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არა აქვს – საკასო აპარატის ჩეკს ვგულისხმობ. საკასო აპარატები დედაქალაქის მაღაზიებში, მოგეხსენებათ, სანთლით საძებარია. ეს მომენტი საკითხის გადაჭრას ხომ არ გაართულებს?***

– გეთანხმებით, საკითხის ასე დაყენება სავსებით მართებულია, პრობლემა კომპლექსური მიდგომის საფუძველზე უნდა გადაიჭრას. მარტო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის მიერ საკითხის შესწავლა და გარკვეულ ღონისძიებათა განხორცილება საქმეს ვერ უშველის. პრობლემის გადაჭრაში უნდა ჩაერთოს როგორც ფინანსური პოლიცია, ასევე საგადასახადო დეპარტამენტი. იმასაც დავამატებ, რომ აღნიშნულ უწყებათა და ჩვენი სამსახურის ერთობლივი მუშაობის აუცილებლობა არა მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევაშია საჭირო.

სანიტარიული კონტროლის განხორციელება არ არის ადვილი საქმე, ერთი ხელის დაკვრით პრობლემა ვერ გადაიჭრება, ამიტომ საამისოდ ყოველდღიური, ეტაპობრივად გათვლილი მუშაობაა საჭირო. თუმცა, ეჭვი არ არის, რომ საკითხის გადაწყვეტაში ლომის წილი სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ უნდა შეიტანოს. თავდაპირველად გავაფრთხილეთ როგორც ინდივიდუალური მეწარმეები, ასევე პროდუქციის რეალიზატორები, რომ მათ დადგენილი ნორმები უნდა დაიცვან. მეორე ეტაპია მოსახლეობის ინფორმირება იმის შესახებ, რომ პროდუქცია შეიძინონ მხოლოდ ისეთ მაღაზიებში, სადაც მისი შენახვის პირობები დამაკმაყოფილებელია, ხოლო წარმომავლობის დამადასტურებელი საბუთები – წესრიგში. სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის რეორგანიზაციის შემდეგ დავიწყებთ ობიექტების რეგულარულ შემოწმებას. თავდაპირველად კანონდამრღვევებს დავაჯარიმებთ, ხოლო თუკი ნორმატივებს ამის შემდეგაც არ დაიცავენ, საცხობებს თუ მაღაზიებს დავუხურავთ და ლიცენზიებს ჩამოვართმევთ.

***– მაგრამ ყოველივე ამის მიღმა ხომ მრავალი გაჭირვებული, ხშირად სხვადასხვა დარგში საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანია, რომლისთვის სახლში ნამცხვრის გამოცხობა, შესაძლოა, შემოსავლის დამატებითი კი არა, ძირითადი წყაროცაა. განა ეს გარემოება გასათვალისწინებელი არ არის?***

– აუცილებლად გასათვალისწინებელია, ამიტომაც ჩვენ, ხშირ შემთხვევაში, სასჯელის მკაცრი ზომების გატარებას ვერიდებით, თუმცა, ასეთ ხალხს ვაფრთხილებთ: გარკვეული ხნით მაინც შეაჩერეთ არანორმატიულ პირობებში პროდუქციის წარმოება თუ რეალიზაცია, მოიკრიბეთ ძალები, გამოიყენეთ ყველა არსებული რესურსი და მდგომარეობა გამოასწორეთ.

საუბრის ცალკე თემაა თავად მყიდველი, რომლის უსაფრთხოებაზეც ვზრუნავთ. ბევრს იმის სახსრები არ გააჩნია, რომ კვების პროდუქტები სუპერმარკეტებში შეიძინოს, სადაც ფასები ბაზართან თუ ჩვეულებრივ მაღაზიებთან შედარებით გაცილებით მაღალია. მაგრამ დედაქალაქშიც და სხვაგანაც შეიძლება ისეთი მაღაზიების ნახვა, სადაც საკვების შენახვის ნორმებიც დაცულია და ფასებიც მისაღები. ამიტომ მომხმარებლებს ვურჩევ სურსათი სწორედ ასეთ მაღაზიებში შეიძინონ.

**ოთარ ტურაბელიძე.**



ჩაუმქრალი ვარსკვლავები

# როგორ მუშაობდა რამაზ ჩხიკვაძე ლენინის როლზე

**როცა ვლაპარაკობთ ხელოვნებაში ისეთ მოვლენაზე, როგორიც არის რამაზ ჩხიკვაძე, შეგვიძლია დავიწყოთ ნებისმიერი წერტილით მისი მდიდარი ბიოგრაფიიდან, რადგან ყველაფერში იგრძნობა რამაზის, როგორც მსახიობის, ადამიანის, მოქალაქის პიროვნება.**

თუ როგორი მსახიობია იგი, ეს ყველამ იცის, თუ როგორი ადამიანია, შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, მაგრამ თუ როგორი მოქალაქეა რამაზ ჩხიკვაძე, ეს გამომჟღავნდა ამ ცოტა ხნის წინათ, როცა წყდებოდა ჩვენი სამშობლოს ბედი, როცა უნდა გარკვეულიყო, იქნებოდა თუ არა იგი თავისუფალი, ღირსეული, პატივსაცემი...

საკუთარი თავი ძალზე ბედნიერ ადამიანად მიმაჩნია, რადგან ჩემი სიყრმის საუკეთესო სტუდენტური დღეები გავატარე ნიჭიერი, ჭკვიანი, ორიგინალური და კეთილი მეგობრების – ჩემი თანაკურსელების წრეში. მრავალმა მათგანმა მოგვიანებით შეადგინა ქართული ეროვნული თეატრის, კინოს, რადიოსა და ტელევიზიის ოქროს ფონდი.

დღეს მე რამაზ ჩხიკვაძეზე მოგითხრობთ.

დიახ, გავიდა 55 წელი... როგორი ვიხილე იგი პირველად? მახსენდება ჩვენი სახელგანთქმული მერვე აუდიტორია. სწორედ იქ მიმდინარეობდა მეცადინეობა კურსის ყველა ძირითად საგანში – სამსახიობო ხელოვნება, ცეკვა, სასცენო მეტყველება... კედლების გასწრივ მუდამ ეწყო უზარმაზარი კუბები, შირმები, გადასატანი საბალეტო დგამები... მახსოვს ორი უზარმაზარი ფანჯარა, რომლებიც გაზაფხულის პირველი დღის დადგომისთანავე იღებოდა. ფანჯარასთან იდგა როიალი... როიალს კი უჯდა ჩვენი მოთხრობის გმირი, ერთთავად უკრავდა იმპროვიზაციებს მოდურ შლაგერებზე თუ ნაალაფევი ფილმებიდან მოსმენილ მელოდიებზე. კურსზე მის გარდა როიალის დაკვრა, თუ არ ვცდები, არავის შეეძლო. და უნდა გითხრათ, რამაზი უკრავდა არა მარტო პროფესიულად, არამედ ყოველივე ამას რაღაც ამაღელვებელი ხიბლიც ახლდა თან. მელოდიის ტაქტსააყოლებდა ბეჭებს და ოდნავ იკვნეტდა კოხტა ულვაშის კიდეებს... და, თუ გურამ საღარაძის ორიგინალური გარეგნობა აღმოსავლური დახვეწილობით გამოირჩეოდა, რამაზი ცხოვრებაშიც, გრიმის გარეშეც, ნამდვილ შუა საუკუნეების რაინდს წააგავდა. მის კეთილშობილურ, საოცრად პლასტიკურ აღნაგობაში ჩანდა ჯიში... მის დიდ, შესანიშნავ უძირო თაფლისფერ თვალებს, გრძელი წამწამები რომ ამშვენებდა, შეეძლო გადმოეცა ნებისმიერი ემოციური თუ აზრობრივი უფაქიზესი ნიუანსი.

ჩვენი გმირის ვიზუალურ პორტრეტს ავსებდა ხშირი დატალღული, წაბლისფერი თმა... დახვეწილი ბაკენბარდი, ოდნავ ზემოთ აპრეხილი კოხტა წვრილი ულვაში და მომაჯადოებელი ღიმილი.

მისი ხასიათის უმთავრესი ნიშანთვისება იყო კეთილშობილება, სიკეთე, სხვისი სატკივრისა თუ სიხარულის გულთან მიტანის უნარი, უნარი იმისა, რომ თვითონ არ მიეყენებინა სხვისთვის თუნდაც იოტისოდენა ტკივილი... და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ჩვენი კურსის გოგონების ნახევარზე მეტი მალულად მოჯადოებული იყო მისი ყველა ამ ღირსებით, მაგრამ, ჩვენი სიყრმის წლებში ვინ გაბედავდა ამ საიდუმლოს გამხელას და ურთიერთობა რამაზთან კურსზე მხოლოდ გულწრფელ მეგობრობასა და ამხანაგობას ეფუძნებოდა.



სპექტაკლ „ოჯახის“ რეპეტიცია: რეჟისორი დიმიტრი ალექსიძე, მარია ულიანოვა – ლამზირა ჩხეიძე, ვალოდია – რამაზ ჩხიკვაძე.

რამაზი ბუნებამ დააჯილდოვა იუმორის დიდი გრძნობით, ჩინებულად შეეძლო ამა თუ იმ ანეკდოტის თუ თავშესაქცევი ამბის მოყოლა. ამ დროს თვითონაც ისე გულიანად იცინოდა, რომ ზოგჯერ, მის შემყურეს, გავიწყდებოდა კიდეც, თუ რა მოყვა რამაზმა და გულიანად გადაიხარხარებდი მისი გადამდები ჯადოსნური სიცილის გამო.

როგორ წარიმართა რამაზის შემოქმედებითი ბიოგრაფია კურსზე?

მას გაუმართლა, შეხვდა შესანიშნავი პედაგოგი. დოდო ალექსიძე, შეიძლება ითქვას, ერთი შეხედვით აფასებდა სტუდენტს თავისი საოცარი პედაგოგიური ალღოს წყალობით, იმთავითვე წვდებოდა მის პოტენციურ თუ შემოქმედებით შესაძლებლობებს.

ჩვენმა პროფესორმა მესამე კურსზე პროგრამაში დანერგა გაბედული ექსპერიმენტი: საბჭოთა კავშირში პირველად მან ინსტიტუტის სცენაზე დადგა პოპოვის „ოჯახი“, რომელიც ლენინის სიჭაბუკისა და სიყრმის წლებს ეძღვნებოდა. თვით ამ პიესის დადგმის ფაქტი დღეს დადებით ემოციებს იწვევს, მაგრამ ეს ისტორიაა, რომლის ფონზეც ვითარდებოდა და იხვეწებოდა რამაზის, როგორც მსახიობის ნიჭი, და ამის უგულებელყოფა დიდი შეცდომა იქნებოდა.

მაგრამ მაშინ, თვით იმის გაფიქრებაც კი, რომ სტუდენტს უნდა შეესხა ხორცი სცენაზე „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის“ სახისთვის, უკვე მკრეხელობად ითვლებოდა. მაშინ ხომ მთელს საბჭოეთში მხოლოდ რამდენიმე მსახიობს ჰქონდა ლენინის განსახიერების უფლება: შტრაუხი, შჩუკინი, მიუფკე, და, ალბათ, ამით ამოიწურა კიდეც.

როცა რეჟისორმა ლენინის როლის შესრულება დაავალა რამაზს, ჩვენ გაოგნებული დავრჩით: შესანიშნავი გარეგნობის მსახიობს, რომელსაც მიდრეკილება უფრო მსუბუქი ჟანრისკენ ჰქონდა, როგორ უნდა განესახიერებინა ლენინი, ეს ხომ უაზრობა იყო...

მაგრამ, თურმე, ჩვენ კარგად არ გვცოდნია ერთმანეთის შესაძლებლობები... რამაზი თვალსა და ხელს შუა იცვლებოდა, მუდამ ცდილობდა მარტო ყოფილიყო, დაეხეტებოდა ინსტიტუტის დერეფნებსა თუ ცარიელ სპორტდარბაზში, ერთთავად რაღაცას ბუტბუტებდა, ცდილობდა დაემუშავებინა სიარულის მანერა, ჟესტიკულაცია. მის მეტყველებაში, და არა მარტო სცენაზე, არამედ მეგობრებთან ურთიერთობის დროსაც, გაჩნდა ოდნავი გრასირება, როგორიც ახასიათებდა ლენინს. იგი ბევრს კითხულობდა სასცენო ლიტერატურას, ისმენდა ფირფიტებს ლენინის გამოსვლების ჩანაწერებით. ინსტინქტურად თუ სპეციალურად, უკვე ცხოვრობდა ბელადის სახით...

და აი, დადგა პრემიერის დღე. ინსტიტუტის პატარა სააქტო დარბაზი ხალხს ვერ იტევდა – პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მშობლები, პრესა...

გაისმა მესამე ზარი, აიწია ფარდა... უკვე მოზარდი ვალოდიას გამოჩენისთანავე გაისმა კმაყოფილი ჩურჩული.

იგი მიიღეს! და ეს უკვე დიდი გამარჯვება იყო.

დედის როლს ასრულებდა ჩვენი კურსის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი სტუდენტი – ლამზირა ჩხეიძე, და, მართალია, როლი რთული იყო, რადგან მასში მსახიობს უნდა გადმოეცა დედის, ასაკოვანი ქალის ღირსება, შვილებისადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობა, მან მოახერხა, ჩინებულად გაართვა ყოველივე ამას თავი.

...ერთი სცენა მეორეს ცვლიდა. რამაზმა ჩვენც კი გაგვაკვირვა, თუმცა კარგად ვიცნობდით მის ეგრეთ წოდებულ „შავ ნამუშევარს“. იგი თავისუფლად და დამაჯერებლად აკეთებდა ყოველივე იმას, რის გაკეთებასაც მოითხოვდა მისგან ჩვენი მასწავლებელი ბოლო გენერალურ



სცენა სპექტაკლიდან „ფიგაროს ქორწინება“; ფიგარო – რამაზ ჩხიკვაძე, სიუზანა – ლამზირა ჩხეიძე.

რეპეტიციებზე. ერთი შეხედვით, მისთვის ყველაფერი ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომი იყო. უნდა ითქვას, რომ რამაზი მუდამ ასეთად დარჩა, სპექტაკლიდან სპექტაკლამდე უმატებდა იგი სამსახიობო ოსტატობას, უმაღლეს დონემდე ხვეწდა მას.

ხოლო როცა მესამე აქტში სცენაზე გამოჩნდა უკვე დავაჟკაცებული ლენინი შავი პალტოთი, შავი ჰალსტუხით, და ზემოთ აღმართა ხელი, რომელშიც ეჭირა თავისი განუყრელი კეპი, დარბაზმა სტუდენტს მქუხარე ოვაცია მოუწყო, ეს წამიერად გაყინული ცოცხალი მონუმენტი ხომ ყველასათვის კარგად ნაცნობი იყო.

დიახ, ეს აღიარება იყო! რამაზმა წარმატებით გაართვა თავი ურთულეს ამოცანას, ალბათ, ყველაზე რთულს, რომელსაც კი ოდესმე გადასწყდომია სტუდენტი თეატრალური ინსტიტუტის კედლებში.

ფიგაროს როლის შესრულებისას ერთიანად გამოვლინდა რამაზის ბრწყინვალე მუსიკალური შესაძლებლობანი. გარდა ამისა, იგი ჩინებულად ცეკვავდა, მსუბუქად და გონებამახვილურად ხუმრობდა სცენაზე, სრულყოფილად ფლობდა მეტყველებისა და მუსიკალური რეჩიტატივის ტექნიკას, მისი მომხიბვლელი გარეგნობა კი ერთი შეხედვითვე ატყვევებდა დარბაზს. მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს რამაზი ადამისდროინდელ ამ პიკანტურ ანეკდოტებს სცენაზე თამაშობდა მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის, ოდნავი ირონიით უყურებდა ყველაფერს... მისმა პარტნიორმა ლამზირა ჩხეიძემ (სიუზანა) უცებ აუწყო ფეხი ამ განწყობილებას, ჩაება თამაშში და ყოველივე ამის შედეგად სცენაზე ვიხილეთ შესანიშნავი დუეტი...

სპექტაკლი დაიდგა გრიბოედოვის სახელობის თეატრის დიდ სცენაზე და მას უდიდესი წარმატება ხვდა წილად, თუმცა ამ წარმატებას მეორე მხარეც ჰქონდა: განმანაწილებელი კომისიის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, რამაზი სამუშაოდ გაგზავნეს მუსიკალური კომედიის თეატრში, რათა პროფესიონალი კადრებით გაეძლიერებინათ დასი.

...სწორედ მაშინ ვიხილეთ პირველად რამაზი გამძვინვარებული ვეფხვის როლში. მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა! მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა: უკვე მეორე დღესვე ჩხიკვაძის გვარმა დაამშვენა სახელგანთქმული რუსთაველის თეატრის დასი.

ასე დასრულდა ჩვენი შესანიშნავი სიჭაბუკის წლები და ყოველი ჩვენგანი თავ-თავის გზას დაადგა.

შეგნებულად ვარიდებ თავს ვთქვა რამე რამაზის დიდ თეატრალურ შემოქმედებაზე. მე ამოცანად დავისახე მეჩვენებინა მისი სტუდენტური წლები, წარმომეჩინა იგი ისეთად, როგორადაც მას ჩვენს გარდა, ალბათ, არავინ არ იცნობდა.

თუმცა, ვიტოვებ უფლებას, გამოვთქვა საკუთარი მოსაზრება მისი ხანგრძლივი წარმატებული თეატრალური მოღვაწეობის შესახებ.

ჩემი აზრით, რამაზი ის აისბერგია, რომლის მწვერვალსაც ყველა ვხედავთ, მაგრამ მისი წყლით დაფარული ნაწილი შეიცავს უამრავ სიღრმისეულ, შესანიშნავ თეატრალურ საიდუმლოს, რომლებსაც ფარდა ალბათ უკვე არასდროს აღარ აეხდება.

მთელი მისი არსება იმდენად მრავალმხრივია, მისი შემოქმედებითი ინტელექტი იმდენად ძლიერია, ორიგინალურია, იმდენად უსაზღვროა ამ ადამიანის გარდასახვის უნარი, რომ ამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეს უდიდესი მსახიობი მხოლოდ ერთი რეჟისორული მიმართულების ტყვე რომ არ ყოფილიყო, ვინ უწყის, კიდევ რამდენი ახალი აღმოჩენით გაახარებდა მაყურებელს...

ძალზე ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ის ნოვატორული წვლილი, რომელიც რამაზმა შეიტანა თეატრის განვითარებაში. იგი უდავოდ დარჩება დიდ მოვლენად თეატრალურ ხელოვნებაში...

**დიანა კესნერი,**
**მსახიობი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენოსანი.**

ყველაფერი ყველაფერზე



## პანკებს ბუში შეუყვარდათ

